



ბუნდლ

ფრეველთვიური ორგანო საქ. ხელ. - დემ. || «LA LUTTE» — Revue mensuelle du
ქმე. პარტ. სახელმწიფოთელ ბიურეო || Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ფასი 3 ფრ. | პარიზი, იანვარი 1926. N° 7. Paris, Janvier 1926. [Prix 3 Fr.

1725
1926

ს ი გ ი ა ლ უ რ ი დ ე ს ზ ო ტ ი ა .

რუსეთის პოლიტიკური წყობილების ხასიათი დღეს სადაო აღარავისათვისაა. მას საბოლოოთ ახადა ფარდა თვით ამ წყობილების ქურუმებმა თავის უკანასკნელ ყრილობაზე და საშუალოზე გამოიყვანა. ტლანქ ძალაზე ავებული ხელისუფლება ყოველთვის იყო, არის და იქნება დესპოტია. ეს არ იწვევს არავითარ დავას და აზრთა განსხვავებას თვით ბოლშევიკთა შორისაც. პოზიცია და ოპოზიცია, სტალინის ლაშქარი და ზინოვიევის დამქანნი, ამას ერთნაირათ ხელშეუხებლათ აღიარებენ, თავის მოღვაწეობის მიუცილებელ ნიადაგათ აცხადებენ.

დავაა არა ამ პოლიტიკურ ფორმაზე, არამედ მის შინაარსზე. ცნობილია, რომ ყველა დესპოტია თავის არსებობის საბუთს ეძებდა ხალხის უზენაეს მოთხოვნილებაში, ერის აყვავების და აღორძინების საპირობებში. ჯერ კიდევ, ჰეროდოტის ისტყვით, დარიუსი ასაბუთებდა დესპოტიის აუცილებლობას ძველ სპარსეთში ხალხის ინტერესებით, ვინაიდან, ამბობდა ის, «თუ ხალხი იქნება ბატონი, შეუძლებელია ბოროტება არ დაიბადოს და მისი მოციქულები არ შეერთდენ ხალხის წინააღმდეგ. დაიწყება უმრავლესობის დაჩაგვრა მხაგვრელთა საერთო ძალდონით». (ჰეროდოტის ისტორია, წიგნი მე-3). დარიუსის ეს მოძღვრება ჟიპირველესი მცნებაა ყველა დესპოტია ყველა დროისა. დესპოტია ხალხს ემსახურება, ერთხმით ღალადებენ ისინი ათასი წლოებით და მათ გამოგვხმადურენ მოსკოველებიც. აქაც, ამ ძირითად საკითხში, მოსკოვის ბატონები შეგმატკილებული არიან. საბჭოთა დესპოტია ხალხს ემსახურება, ძალმომრება უეზარი წამალია მისი ჭრილობების განსაკურნავათ, ღალადებენ კომუნისტური პარტიის ორივე მოდავენი ერთნაირი თავგამოდებით. რუსეთი ქირურგიული ჩარევით უნდა გაჯანსაღდეს და წარმატების გზას დაადგეს—ეს მათთვის უფაო დებულებაა. როგორ ფიქრობენ ისინი ამ მიზნის მიღწევას, რა შინაარსისაა მათი სოციალური დესპოტია? აი აქ ქი პარტიის ყრილობა გაიყო და ენათა შერევა დაიწყო. დიდი უმრავლესობა ც. კ. მეთაურობით დადგა ერთ მხარეზე, პატარა უმცირესობა ზინოვიევი-კამენევის წინამძღოლობით ჩაირაზმა მეორე მხარეზე. გავიცნათ პირველის მოძღვრება.

ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს აგრარიულ ქვეყანაში—ამბობს ც. კ. მეთაური სტალინი თავის გრძელ მოხსენებაში («იხვესტია», 22 დეკ.), ცხადია, დესპოტიის სოციალური მიზანია სოციალიზმი, «ხოლო სარბიელი აგრარიული ქვეყანა, სადაც 80 პროც. გლეხობაა, ყველა სოციალისტი იკითხავს: რანაირათ უიძლება სოციალიზმის განხორციელება აგრარიულ ქვეყანაში? თანამედროვე სოციალიზმი არის სამრეწველო ურთიერთობის გამოხატულება, მარქსიზმი სამრეწველო ქვეყნის მოძღვრებაა. ცხადია, რუსულ სოციალიზმს არავითარი საერთო არ უნდა ქონდეს ამ ერთათ-ერთ ნამდვილ, ინტერნაციონალურ სოციალიზმთან. და მართლაც, თუ დაუკვირდებით სტალინის მოხსენებას, დაინახავთ რომ აქ სოციალიზმით გამოტანილია სწორათ ამ მოძღვრების მოპირდაპირე მიმდინარეობა. ეს სახელი დარქმეულია სრულიათ სხვა საგნისათვის და ასე ბრწყვიალა ფრაზებით დაფარულია შავი, რეაქციონური საქმიანობა.

სტალინი ამბობს: «ჩვენი ვმუშაობთ კაპიტალიზმით შემოქალტულ გარემოებაში», ამიტომ საპიროა ჩვენი სახალხო მეურნეობა განვითარდეს «როგორც დამოუკი-

დებელი ეკონომიური ერთეული, დაყრდნობილი შინაგან ბაზარს». ამით საბჭოთა კავშირი გამოშორდება კაპიტალისტური მეურნეობის სისტემას და ჩადგება სოციალისტურ სისტემაში.

ასეთი მთავარი ტენიის, ის, როგორც ხედავთ, აგებულია პოლიტიკური ეკონომიის თავდაყრივად ვადატრიალებზე. აქ უკუდებულია ძირითადი თვისება თანამედროვე ნივთიერი წყობილების და მასზე აშენებული ცივილიზაციის. ეს არის მსოფლიო ბაზარი, მისი ყოვლადშემძლებლობა და ერთბატონობა. არ არის ერი, გარდა აფრიკის ზოგი ტყეში მოზინადრე ტომებისა, ამ ბაზრის გარეშე დარჩენილი. ყველა ხალხი პირდაპირ თუ არაპირდაპირ აქ გამოდის, იძულებულია გამოვიდეს და მით მსოფლიო ეკონომიურ სისტემაში შევიდეს. მსოფლიო ბაზარი, ქმნის რა ერთ საწარმოო სისტემას, ქმნის ამავე დროს ერთ მსოფლიო პროდუქტულ მოძრაობას, ერთ მის მოძღვრებას, ერთ ინტერნაციონალს. ამ ერთობის გარღვევა, ცალკე გასვლა და ამ გზით განვითარება არ ძალუძს არც ერთ ქვეყანას, არც ერთ პროდუქტორს, არც ერთ ინტერნაციონალურ პარტიას.

ამგარაა, რუსეთს, არც სხვა რომელიმე ქვეყანას, არ შეუძლია იყოს «დამოუკიდებელი ეკონომიური ერთეული», არ შეუძლია დაეყრდნოს «შინაგან ბაზარს», მაშასადამე არ შეუძლია შექმნას რაიმე დამოუკიდებელი ეკონომიური და სოციალური სისტემა. სტალინის უტოლია წყალწაღელი კაცის ნახმასევი. მარა ამ ჩმახვას აღმოაჩნდა შესაფერი აუდიტორია; რომელიც მას იჯერებს. რატომ? იმიტომ რომ მისი ინტერესია ეს დაიჯეროს. რაკი პარტია ქვეყანას სათავეში მოექცა და თავის ხელში დააგროვა საზოგადოების მთელი სიმდიდრე, საუიროა გასამართლებელი საბუთი ხალხის წინაშე, ახალ-ახალი საშუალება ბატონობის გასაგრძელებლათ. როგორც სასულიერო წოდებას ეჭირება ღმერთი, ურომლისოთ მას არსებობის საფუძველი არ აქვს, ისე ბლშვეიკურ პარტიას ეჭირება საკუთარი «სოციალისტური სისტემა», უამისოთ ის დაინგრევა. და აი სტალინი განაგრძობს ამ «სისტემის» დახასიათებას.

მოსკვის სოციალისმის ნიშნობლივი თვისებაა ის, რომ მთავრობის ხელშია მატერიალური სიმდიდრის უმთავრესი წყაროები. სტალინის ცნობით, მისი ღრებულება უდრის 11 მილიარდ მანეთს, ხოლო კერძო პირთა ქონება კი 7 მილიარდისაა. სახელმწიფო მდიდარი, მოქალაქე დარბი, მთავრობა მშლავრი, საზოგადოება სუსტი— აი «დამოუკიდებელი ეკონომიური ერთეულის» თვისება. ამით მართლა განირჩევა რუსეთი ევროპისაგან. მაშასადამე, სოციალური დესპოტიის შინაარსია სახელმწიფოს ნივთიერათ გაღონიერება კერძო პირთა ანგარიშზე. აქედან იბადება ორი საკითხი: სახელმწიფოს როლი საზოგადოებაში და სახელმწიფოს და საზოგადოების ურთიერთშორის დამოკიდებულება.

მოდვრება, —სახელმწიფო ყველაფერია, კერძო პირი არაფერია, — ძველის-ძველია. ასევე ძველია მისი განხორციელება. აზიის ყველა სახელმწიფო ამ დებულებაზე იყო აგებული, კრემლის მდგმურთ არც კი დასიზმრიათ ის სიმდიდრე, რომელიც ეპყრათ ეგვიპტის ფარაონთ, ბაბილონის მეფეთ და მრავალ სხვა მათ წინამორბედთ. შემდეგ ამ მოდვრებას ხელი წაატანეს საშუალო საუკუნის მიწურულში ევროპაში და მერკანტილიზმის სახით თავისი გამოიტანეს. მრავალ სახელმწიფოებმა ვაჭრობა-მარწველობა სახინის მონოპოლიათ გამოაცხადა (მე-13—15 საუკ.). როგორც კი სახელმწიფოს ამით გაძლიერდა, მონდომა დესპოტიათ გადაქცევა. მას შეებრძოლა ქალაქები, მესამე წოდება და მრავალი რევოლიუციებით დაამხო მთელი ეს მიმდინარეობა. ცხადია, მთავრობის ხელში ქვეყნის სიმდიდრის დაგროვება ძველი, რეაქციონური სოციალური პრინციპია და მასთან ბრძოლით აღორძინდა თანამედროვე საზოგადოება. და როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, ბრძოლამ წარმოშვა მეორე უკიდურესობა—მანჩესტერიზმი, ანუ სახელმწიფოს ჩაურევლობა კერძო პირთა საქმეებში. სოციალიზმმა გამოასწორა ეს აღორძინდრო და გამართა სწორი ხაზი სახელმწიფოს და საზოგადოებას შორის. მან აღმართა დროშა საზოგადოების, რომლის მოთხოვნილებას დაუმორჩილა ყველა პოლიტიკური ორგანოები. სოციალური პრობლემა სიმდიდრის დაგროვება არა სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების ხელში და მისი სამართლიანათ განწილება. განსაზოგადოება და არა გასახელმწიფოება. მოქალაქეთა საწარმოვო ასოციაციები— აი სოციალისმის დასაყრდნობი ფუძენი.

ამნართ, ბლშვეიკური სოციალისმის ძირითადი თვისება—ხელისუფლებების

საქართველოს
საბჭოთაო
საპარტიო
საგარეო
საფარველი

გამდიდრება, ხალხის გაღატაკება—დესპოტიის ძველი სოციალური პრინციპია. აქ სოციალისტური ყველა გზა დასშულია, საზოგადოების განვითარება ბორკილ-დადებულია.

სტალინი განაგრობს:

«შეიძლება ჩვენ სახელმწიფო მრეწველობას უწოდოთ სახელმწიფო კაპიტალიზმი? არა, რატომ? იმიტომ რომ აქ წარმოდგენილია არა ორი კლასი (ბურჟუაზია და პროლეტარიატი), არამედ ერთი—მუშათა კლასი, რომლის ხელშია წარმოების იარაღი და საშუალებები და რომელიც ექსპლოატაციას არ განიცდის, ვინაიდან, რაც მოიგება წარმოებიდან გარდა მუშის ქირისა, მისი მრეწველობის გასაფართოვებლათ, ე. ი. მთელი მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ».

აი ტიპური მსჯელობა ვულგარული ეკონომისტებისა, რომელთაც ისე სასტიკათ დასცინოდა მარქსი. მთელი ეს ამონაწერი «ხელისხელ საგოგმანები მარგალიტია». ბოლშევიკურ ფაბრიკაში მუშა თურმე არ იყვლიფება. რატომ? იმიტომ რომ ბურჟუაზია არ არის. მარა გაყვლეფა შეიძლება უბურჟუაზიოთაც. ბურჟუაზია ახალი ისტორიის მოვლენაა, მამ წინთ გაყვლეფა არ იყო? საქმარისია იყოს დამქირავებელი და დაქირავებელი, რომ ზედმეტი ღირებულეა შეიქმნას და მუშა გაიყვლიფოს. საბჭოთა წყობილევაში დამქირავებელია მთავრობა, მისი აპარატები, დაქირავებული მუშა. იქმნება ზედმეტი ღირებულეობა, ეს გადადის დამქირავებელთა ხელში, რითაც ფართოვდება წარმოება, ე. ი. ფართოვდება ახალ-ახალი მუშების გაყვლეფის შესაძლებლობა. ეს მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიის ანბანი დღეს სტალინის ლაშქარის ანგარიშში აღარ შედის, მათთვის ხელსაყრელია ლიბერალების ეკონომიური მოძღვრება—და მისი «სოციალისტურათ» გასალება. მარა აქ კი მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ოპოზიცია შედგა. ზინოვიევის ჯარი დაეუცდა ამ საბჭოთა «სოციალიზმში» და გაიმართა ბრძოლა.

კამენევი თავის მკაცრ კრიტიკაში აყენებს ახეთ დებულეობას:

ჩვენი ზოდები და ფაბრიკები არ წარმოადგენენ სოციალიზმის განხორციელეობას, მათში არც კი არის განხორციელებული სოციალისტური ურთიერთობა». («იზვესტია 24 დეკემბრის). ხოლო ზინოვიევი თავის მიკიბულ-მოკიბულ სიტყვაში ამბობს, რომ თუმცა ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა «სოციალისტური ტიპისაა, მაგრამ კიდევ არ არის სოციალისტური», ე. ი. არის და არც არის. მარა ეს სტალინ-ბუხარინს არ აკმაყოფილებს. მათ სურთ ის უქვევლათ «სოციალისტური» იყოს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში «როგორ შეგვიძლია გავსწიოთ კამპანია მუშამ გააძლიეროს წარმოება? მუშა არ გაანაყოფიერებს შრომას ფაბრიკებში, თუ ეს წმინდა სოციალისტური ფაბრიკა არ არის», ამბობს ბუხარინი. ფაბრიკის «სოციალისტობა» ყოფილა საშუალება მუშის მოსაკუყებელი და უკმთ გასაყვლეფის. ტყუილი-პროლეტარიატის დასამორჩილებელი იარაღი. მარა ეს ხომ ასე იყო ყოველთვის, ბოლშევიკებს ახალი არაფერი გამოუგონიათ, გარდა უზომო უსირცხვილობისა. ამ «ოპიუმის» მთავარი თეორეტიკოსი ყოფილა ზინოვიევის სიტყვით ბუხარინი. და მართლაც, ეს ეკვატორნი პირდაპირ ლაპარაკობს:

«როცა მუშა გეკითხება, რას წარმოადგენს ეს ფაბრიკაო, პარტია ვალდებულია პასუხი ვასცეს (ვედოკიმოვი: აკი ველაპარაკებით!) თქვენ კი, მარა ზინოვიევი არა, ხალუცი არა და თუ ახლა იტყვიან (რომ ის სოციალისტურია), ჩვენ მოხარული ვიქნებით». («იზვესტია» 23 დეკ.).

ზინოვიევი დამარცხდა, პარტიამ გამოაცხადა—ჩვენი მრეწველობა უქვევლათ სოციალისტურიაო. ეს დღეს უკვე დოგმათაა აღიარებული და მასში დაეუცება სასტიკათ აკრძალული.

ეს «სოციალისტური მრეწველობა» წარმოადგენს ეკონომიურათ მეტათ საწყალ სანახაობას, რომელსაც აკლია ყველაფერი ის, რითაც მრეწველობა სულდგმულობს. სტალინის სიტყვით, მას აკლია კაპიტალი («კაპიტალის ნაკლებობა ღიღია»), აკლია სათბობი მასალა, (ის «არ შესაბამება მრეწველობის დონეს»), მეტათ მცირეა რკინეულობა («გვაკლია ათეული მილიონების»), არ არის საკმაო კვალიფიციური მუშა ხელი—ერთი სიტყვით შერეეულია მთელი მისი მატერიალური საფუძველი. კაპიტალისტური მრეწველობა იმდენ საქონელს ქმნის, რომ ვერ ერევა საზოგადოება, ვერ იტყვს ბაზარი. აქ კრიზისია გასაღები და არა წარმოება. იქ, საბჭოთა სოციალურ დესპოტიაში მრეწველობა არა თუ საკმაო საქონელს ვერ ამუშავებს, მას თვითონ აკლია საშუაოსათვის მიუცილებელი მასალა, თვით განიცდის კრიზისს ამ ნიადაგზე და, რა

3966

გასაკვირალია, მუშტარს საქმაო საქონელს ვერ აწვდიდეს. «სოციალისტური ფაბრიკა» ნიშნავს დაცემულ წარმოებას, დავარდნილ ეკონომიკას, უძლურ საწარმოო ძალას. აქედან გამომდინარეობს დაცემული ვაჭრობა. სტალინის სიტყვით, საგარეო აღებ-მიცემობა 1913 წელთან შედარებით 1923—24 წ. უდრდა 21 პროც., ხოლო 1924—25 წ. 26 პროც. ეს მცირე ვაჭრობაც თავდება დეფიციტით (144 მილიონით), ვინაიდან პურის ქვეყანაში პური საზღვარ-გარეთიდან შემოაქვთ!

თავისთავით ცხადია, რომ ამ სოციალისტურ სამოთხეში ყველაზე უფრო იყვლიფება თვით «ხაზინი»—მუშა. მას იდეალათ აქვს გადაქცეული მეფის დროინდელი ხელფასის აღება, მარა მას კიდევ ვერ მიაღწია. სტალინის სიტყვით, შარშან აპრილში სამუშაო ხელფასი სამრეწველო მუშის ყოფილა თვეში 35 მან. ანუ ომის წინა დროის 62 პროც., სექტემბერში ის აწეულა 95 პროცენტამდე. მარა თუ ამ რაოდენობას გამოვკლებთ იმ შრავალ გადასახადებს, რაც მუშა იძულებულია მისცეს ბოლშევიკურ დაწესებულებებს და სახეში მივიღებთ საქონლის სიჭივირს—ნათელი იქნება მუშის საწყალი მდგომარეობა. მეფის დროის ვალიუტა, საქონელი და დღის ქირა—«სოციალისტური რუსეთის» შორეული იდეალია, ამას ზევით მისი ოცნება ვერც კი აიწევს.

ამნაირათ, სოციალური დესპოტიის ერთი საფუძველია დაცემული, დაჩაჩანაკებული სახელმწიფო ფაბრიკა. მარა ვინაიდან ეს ვერაფერი საიმედო საძირკველია, ამიტომ ბოლშევიკები ახლა ეძებენ მეორეს, უფრო მკვიდრს და მაგარს. და აი აქაც თავი იჩინა პარტიაში განხეთქილებამ. უმრავლესობამ კურსი აიღო საშუალო გლეხობაზე, გამოიცა «კულაკების» სასარგებლო კანონები, გაისმა ბუხარინის ლოზუნგი სოფელეთა მიმართ—გამდიდრდითო. ერთი სიტყვით გლეხის წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია კომუნისტების სტიქიათ გამოცხადდა. ოპოზიცია ამეტყველდა: «პროლეტარული იდეოლოგია» დაეტაკა გლეხურს და სასტიკათ დამარცხდა. ლენინიზმი ჩამოყვეითდა ბუხარინიზმამდე. გლეხური რუსეთის დროშა აფრიალდა. რა სწერია ამ დროშაზე? პარტიის ც. კ. სწერს: «ჩვენ ერთგვარ დათმობაზე წავედით სოფლის ახალი ბურჟუაზიისადმი, მივანიჭეთ ფართე იჯარის, დაქირავებული შრომის ფართოთ გამოყენების უფლებები». საბჭოებს ექირავებათ სოფლის ბურჟუაზია. რატომ? ამის პასუხს იძლევა კამენევი: «ჩვენ ვიღებთ კურსს სოფლის საწარმოვო ძალთა განვითარებაზე, ჩვენ ვიღებთ კურსს იმაზე, რომ სოფლის მთელი მასა აღორძინდეს, რომ სოფელი გავდეს უფრო მაძარი, უფრო მდიდარი, რომ მან უფრო მეტი მოიხმაროს სამრეწველო საქონელი, რომ სოფლის მოთხოვნილების ნიადაგზე განვითარდეს ჩვენი მრეწველობა». (კომ. № 250). ცხადია, სოფლის ბურჟუაზია უნდა შეიქმნას დამხმარე საბჭოთა «სოციალისტური» მრეწველობის, სოფელმა უნდა იხსნას ქალაქი, გლეხმა მუშა. ამით შესრულდება სტალინის დებულება—«დამოუკიდებელი ეკონომიური ერთეულის» შექმნა. მარა ეს კომუნისტური უტოპია ასკდება გლეხის რეალიზმს და დგება სრულიად მოულოდნელი ურთიერთობა. რაც უფრო ბოლშევიკები იზრებიან გლეხისაკენ, მით უფრო გლეხები მათ ზურგს აქცევენ და ასე ეს ვაჟბატონები განმარტოებულნი რჩებიან. სტალინის გულმკერდენულობით მოუთხარებს ყრილობას იმას, თუ როგორ აურია მას სოფელმა საგარეო ვაჭრობის გეგმები, როგორ შერცხვა სტატისტიკის ცენტრალური დაწესებულება და სხ. აქედან ერთათ-ერთი გამოსავალია, ამბობდა ოპოზიცია, დაკარით «კულაკს!» არა, არა, შესძახა თითქმის მთელმა ყრილობამ, «კულაკი» გვეჭირვებოდა. და ასე, კომუნისტური პარტია აშკარათ ხდება იმით, რაც მუდამ იყო—წვრილ-ბურჟუაზიული, მეშჩანურ პარტიათ. ოპოზიციის თვალის ასახვევათ კი ბევრი დაპარაკია ღარიბი გლეხის დახმარებაზედაც კრედიტის მიცემით. ნამდვილათ აქ კრედიტის მოხმარა შეუძლია მხოლოდ შეძლებულ გლეხს და გაღებული მილიონებიც მის ჯიბეში მიჩხრიალებს. ხდება სოფლათ ჩვეულებრივი ეკონომიური პროცესი: ღარიბი ღარიბდება, მდიდარი მდიდრდება. სტალინის სიტყვით, პეტროგრადში კომუნისტებს გამოუციათ სახელმძღვანელო, სადაც ამტკიცებენ, რომ მეფის დროს სიღარიბე შეიცავდა 60 პროც., ხოლო ახლა კი ის 75 პროც.! «ეს ციფრები კონტრ-რევოლიუციანზე უარესია», ყვირის სტალინი, მარა ის მას ვერაფრით ვერ არღვევს. პირველი, მათივე სტატისტიკა ამოწმებს პეტროგრადელთა სიტყვებს; აი მაგ. უკრაინაში უკანასკნელ ოთხ წელიწადს «რიცხვი მეურნეობათა, რომელთაც სამუშაო პირუტყვი არ ყავს, გაიზარდა 132 პროცენტით, ხოლო უინვენტაროთა რიცხვი 77 პროცენტით». 1917 წელს უღლი საქონელი ყავდა 32 პროცენტს, ახლა კი ყავს 20 პროცენტს. სამი დესიატინის მქონეთა 70 პროც. თავის მიწას იჯარით აძლევენ მდიდარ გლეხთ. ასეთივე სურათია



შუაგულ რუსეთში. (ეკონომ. ეიზნ № 270, 272, გასული წლის). მოლოტოვის ცნობით, სოფელში 45 პროც. ლატაკია (იხ. კამენევის სიტყვა).

მასის გალატაკება, მცირე რიცხვის გამდიდრება, რომელთა შორის კომუნისტებიცაა—აი საბჭოთა დესპოტიის სოციალური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის შედეგია, კლასიური დიფერენციაცია და კლასთა ბრძოლა. ბოლშევიკები კი უწყობენ რა ხელს პირველს, ებრძვიან მეორეს, კლასებმა არ უნდა იბრძოლონ, თავიანთი ინტერესი არ დაიცვან, არამედ ყველამ კომპარტიას უნდა მიმართონ და მისი საშუალებით თავისი მიზნები განახორციელონ. ისინი მოგვავანებენ იმ გურულ გლეხს, რომელმაც მოისმინა რა სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელი მიტინგზე, შესძახა—«აი ყველაი ვარ მე»-ო! ბოლშევიკებიც «ყველაი» არიან, ყველა კლასის და პარტიის მისაშუალებ და მაგიერი. აი ამ პოლიტიკურ მონოპოლიაში ძვეს ამ პარტიის დამარცხების და დარღვევის აუცილებლობა. (ე.კ. იძლევა დირექტივას: შეაკავშირეთ და დაიცავით ღარიბი გლეხებო («კომ.» № 250). ჩინებული ბრძანებაა. მარა ვის წინააღმდეგ უნდა მოხდეს ეს მათი შეკავშირება? ვის და საბჭოთა მრეწველობის, ვაჭრობის, პოლიციის, ჩეკის, უფლებობის, ძალმომრეობის—ერთი სიტყვით ყოველივე იმ ბოროტების წინააღმდეგ, რაც ხალხს უმთავრესათ აწუხებს და რომელიც ბოლშევიკების ღვიძლი შვილია. გამოწმობს რომ პარტია აკავშირებს ხალხს პარტიის წინააღმდეგ! ნავში ჯდომა და მენავესთან ბრძოლა შეუძლებელია. ის თითო-ოროლა კომუნისტი, რომელიც ასეთ დირექტივას მართლა ახორციელებს, პარტიიდან იდევნება და პოლიციის განკარგულებაში ირიცხება.

ცხადია, საბჭოთა სოციალური დესპოტია დღეს აფორიაქებულია: ის განიცდის შინაგან კრიზისს; მათში დაიბადა უმცირეს-უმრავლესობა, ახრთა არევ-დარევა, შუღლი და განხეთქილება. რატომ, რაშია საქმე? მიზეზია ერთი-ერთი—ოქტომბერი, ე. ი. აგრარიული ქვეყნის და მსოფლიო ბაზრის აბუჩათა აღება, მათი ბუდიდან გადმოხტომა და სოციალური დესპოტიის შემოღება. უმრავლესობა ფიქრობს უკან დაიხიოს. მწარმოებელი ძალები ააღორძინოს, ბურჟუაზიას კარები გაუღოს, გლეხობას დაეყრდნოს—ერთი სიტყვით აწარმოვოს პრაქტიკული სამდროვო პოლიტიკა ძველი ფრანკოლოგიის სამოსელში. მაგრამ მას ზურგზე აკიდული აქვს უშველებელი სიმძიმე—ოქტომბერი—და გასაქან საშუალებას არ აძლევს. ის იძულებულია ერთ ალაგას იბეჭდოს, პიროვნებები სცვალოს, სისტემას არ შეეხოს, დესპოტია გააფართოვოს. პარტიაშია ის გადაიტანოს და ასე უკმაყოფილება საყოველთაო განადოს. სტალინის ტეტიებს აქედან გამოსვლა არ უწყრიათ, ასაფრენი ფრთები დაჭრილი აქვთ, ნებისყოფა დაჩაღუნგებულია, გამბედაობა არ მოეპოვებათ. თავსა ახლათ ვერვინ იშობს. ოქტომბერს ისინი ვერ გადაანტებიან და მით იქმნება აუცილებლობა—ქვეყანა მათ გადაანტეს, ცხოვრების რკინის კახონებმა გასავალი მონახოს და ეს საცოდავი უტოპისტები ისტორიას ჩაბაროს. საბჭოთა დესპოტიის უკანასკნელი ეამი მოახლოვებულია.

ნ. ე.

ბ რ ძ ლ ა ს ე კ ვ ი ა უ რ ი რ ე ქ ი მ ი ა)
კ ა რ ლ გ ა უ ც კ ი ს ა .

... მოყავთ ერთი მომენტი, რომელიც უნდა მოწმობდეს, რომ ბოლშევიკური რეჟიმი, რაც არ უნდა იყოს, დღესაც მაინც პროლეტარული, რევოლუციური და სოციალისტურია. ამ მომენტს აყენებს ჩემს წინააღმდეგ ამხანაგი კუნფი, რომელიც აღნიშნავს,

«რომ ის პოზიცია, რომელსაც ჩვენ კაუცკი ვეგირჩევს, სამართლიანათ გამოიწვევს მწვავე წინააღმდეგობას მუშათა ფართო მასებში, რომელნიც

*) კ. კაუცკის წიგნაკის გამო—«ინტერნაციონალი და საბჭოთა რუსეთი»—ავსტრიის ს.-დ-ის თეიურ ჟურნალ «დერ კამპფ»-ში დაიბეჭდა უნგრელ სოც.-დემოკ. კუნფის საპოლემიკო წერილი, მის საპასუხოთ კაუცკიმ მოათავსა იმავე «დერ კამპფ»-ის ოქტომბრის №-ში წერილი სათაურით: «პროლეტარიატი რუსეთში». აქ ვათავსებთ ამ წერილის მე-IV თავის თარგმანს. «ბ რ ძ ლ ა»-ს რ ე დ ა ქ ე ი ა .

ხედავენ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა რუსეთს გააფთრებით ებრძვიან კაპიტალისტური მთავრობები, რომ ის სხავს ყველა ქვეყნების ბურჟუაზიას, და აქედან მათ გამოყავთ დასკვნა, რომ ეს რეჟიმი ალბათ სხვა რამეს უნდა წარმოადგენდეს, ვინემ ერთგვარი ჯურის კონტრ-რევოლუციას, რომელსაც «ტბიერი პოლიციური სულები» ხელმძღვანელობენ». («კამფ», XVIII, 8, გვ. 306).

ვწუხვარ, რომ ამ შემთხვევაშიაც მე იმით ვსხსნავადები ჩემი მეგობრებისგან, რომ სრულიად არ შემიძლია ეს მათ მიერ მოყვანილი «ფაქტი» მივიღო. მარა ეს არ ნიშნავს იმას, თითქმის ეს „ფაქტი“ მე მოგონილათ მიმიჩნდეს. ყველა კაპიტალისტური მთავრობების გააფთრებული მტრობა ბოლშევიზმისადმი უეჭველი ფაქტი იყო ხასი, როგორც ბოლშევიზმის პროლეტარული, რევოლუციური, სოციალისტური ხასიათი. მაგრამ ეს არის ფაქტი წარსულის, რომლის შთაბეჭდილება კიდევ არსებობს ჩვენს შეგნებაში, თუმცა ჩვენს გარეშე, ცხოვრების სინამდვილეში უკვე არავითარი საფუძველი აღარ აქვს. სინამდვილეში დღეს არსებობს მთელი რიგი კაპიტალისტურ მთავრობების, რომლებიც არამც თუ გააფთრებით არ ებრძვიან საბჭოთა რუსეთს, არამედ ძლიერ მეგობრული ურთიერთობა აქვთ მასთან. და ეს სწორეთ ის მთავრობებია, რომელნიც თავის ქვეყნის პროლეტარიატს უსასტიკესი ძალადობით ებრძვიან. ასეთია მაგ. მუსოლინი იტალიაში; საეგებთ რეაქციონური ლიეტუვის საიმპერიო მთავრობაც გერმანიაში ძლიერ მონდომებულთა საბჭოთა რუსეთს დაეყრდნოს; იაპონიასთანაც ბოლშევიკები კარგ განწყობილებაში არიან. საბჭოთა რუსეთთან სერიოზული წინააღმდეგობა აქვს ევროპაში მხოლოდ ორ სხვადასხვა გეოგრაფიულ რაიონის მთავრობებს: ერთის მხრით რუსეთის მონაპირე სახელმწიფოებს, რომლებიც მსოფლიო ომის დასრულებამდე უმეტესათ რუსეთის სამფლობელოს ეკუთვნოდნენ. ბალტიის სახელმწიფოებს საბჭოთა რუსეთი ისეთივე ხარბის თვლით უყურებს, როგორც თავის დროზე პეტრე დიდი უყურებდა, რათა აღმოსავლეთის (გერმანულ) ზღვისსაყენ ყინულისაგან თავისუფალი გზა მოეპოვებია. პოლონეთმა, ისე როგორც რუმინეთმა, გამარჯვებულის მდგომარეობა ომის დასასრულს იმისათვის გამოიყენეს, რომ ძველი რუსეთიდან გაცილებით მეტი ტერიტორია შემოეერთებიათ, ვინემ ამას მოითხოვდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რომლისთვისაც ისინი იბრძოდნენ. ამის გამო, როგორც პოლონეთში, ისე რუმინეთში არსებობს ძლიერი რუსული (უკრაინული და ბელორუსული) ირედენტა, რაც მუდმივ წინააღმდეგობის წყაროს წარმოადგენს ამ სახელმწიფოებსა და რუსეთს შორის.

მაგრამ ამ საკონფლიქტო მასალას საერთო არაფერი აქვს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის წინააღმდეგობასთან. ის ერთიანათ იმპერიალისტურ და ნაციონალურ აზროვნებიდან წარმოსდგება. ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას მონარქიული რუსეთიც ისევე დამეუქრებოდა, როგორც საბჭოთა რესპუბლიკაც ემუქრება. რუსული ირედენტა პოლონეთსა და რუმინეთში ისევე მწვავეთ იმპუტებდა რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, როგორც მის დღევანდელ მბრძანებლებზე მოქმედებს.

არის კიდევ ერთი სახელმწიფო, რომელთანაც საბჭოთა რუსეთი დიდ წინააღმდეგობაში იმყოფება. ეს არის ინგლისი. მაგრამ აქაც გამწვავება შედეგია არა კაპიტალიზმის და სოციალიზმის წინააღმდეგობის, არამედ აზიაში ბატონობისათვის ქიშპობის; ეს არის გავრძელება ძველი წინააღმდეგობის, რომელიც უკვე ყირიმის ომის დროს არსებობდა და მსოფლიო ომის წინა დრომდე შეფეციც ტრადიციულ პოლიტიკას ახასიათებდა. უკვე ათი წლით ადრე მსოფლიო ომამდე რუსეთს ებრძოდა იაპონია, როგორც ინგლისის მოკავშირე. და როცა აღმოსავლეთის ყველა იმ მხარეებში, საცა რუსეთს არ შეუძლია დღეს პირდაპირი ანექსიის მოხდენა, როგორც ამიერ-კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში, იგი ვავლენის ზონების შექმნას ცდილობს და ამ მიზნით ინგლისისა და მის „მფარველობის“ ქვეშ მყოფ ერთა წინაშე თვითგამორკვევის პრინციპის დამცველათ გამოდის,—ამ შემთხვევაშიაც ის მხოლოდ ცარიზმის ტრადიციულ პოლიტიკას ახორციელებს.

დღევანდელი წინააღმდეგობანი რუსეთსა და სხვა სახელმწიფოთა შორის იმავე ხასიათისაა, როგორც თვით აშკარა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

და როცა სახელმწიფოთა შორის არსებულ ამ უხემ წინააღმდეგობის გამშვანიერებას ცდილობენ ფართე მასის თვალში სხვადასხვა კეთილშობილური ლამაზი ფრანებით, რომელნიც ამ ხალხის იდეალებს უდგება,—აქაც ახალი არაფერია. ფრანგი კა-

პიტაღორას იმის აბდელ-კრიმის წინააღმდეგ ხომ მხოლოდ ცივილიზაციის ინტერესისათვის აწარმოებენ. მოსკოვის ხელისუფალთ ეს ლამაზი და ტუბილხმოვანი ფრაზების ხელაწევა ისევე კარგათ აქვთ შეთვისებული, როგორც პარიზისას. ერთათ-ერთი ახალი, რაც მათ აქ შემოიტანეს, მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ამ დამამწვინებელ ფრაზებს სესხულობენ მარქსიზმის და არა ბურჟუაზიულ გამანათლებლების ლექსიკონიდან. ექვს გარეშეა, რომ ამ ფრაზეოლოგიას შეუძლია მეტი შთაბეჭდილება მოახდინოს მუშათა ფართე მასებზე, ვინემ დასავლეთის იმპერიალისტების გაცვეთილ ფრაზებს. ხოლო დღევანდელი სახის ბოლშევიზმის პროლეტარული ხასიათის დასამოწმებლათ ის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ გავარკვიოთ ბოლშევიზმის ისტორიული მნიშვნელობა, თუ სრულიად აშკარათ არ აღვიარებთ, რომ ის დღეს პირდაპირ წინააღმდეგობათ იქცა იმის, რასაც თავის პირველ ხანაში წარმოადგენდა, თუმცა უკვე მაშინ ატარებდა ის თავის მერმინდელ განვითარების ჩანასახს.

ამიტომაც კუნფის მოხაზრებები უნგრეთის რევოლიუციის გაცვეთილების შესახებ, რა მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს თავისთავათ, მე დამარწმუნებლათ არ მიმაჩნია. უნგრეთის რევოლიუცია არ გასცილებია თავის არსებობისათვის წარსულის ძალთა წინააღმდეგ ბრძოლის საფეხურს, არ მიუღწევია მის წილში შექმნილ სახელმწიფო აპარატის სრულ ვაბატონებამდე. რასაც კუნფი ამბობს, ის შეეფერება ბრძოლის პერიოდს, და არა იმ „კლიკის“ ბატონობას, რომელიც ავტოკრატიულათ განაგებს ქვეყანას. ამას გარდა შეუძლებელია, რომ უნგრეთის რევოლიუცია, მისი არსებობის რომელი საფეხურიც უნდა აიღო, კაცმა საბჭოთა რესპუბლიკას ვეცოთანაბროს. პირველს საფუძვლათ ქონდა კომუნისტების და სოციალისტების თანამშრომლობა, მეორე კი იმ თავითვე სოციალ-დემოკრატების და სოციალისტ-რევოლიუციონერების გასრესახე აღმოცენდა.

ბოლშევიზმი, როგორც თვითმპყრობელი, სრული წინააღმდეგობა იმისი, რაც იყო ის ცარიზმთან ბრძოლის დროს. ამგვარი მოვლენა იშვიათი არაა ისტორიაში. მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ აქ: ქრისტიანობას.

ქრისტიანობა პირველ ხანებში უეჭველათ პროლეტარული, რევოლიუციური (სახელმწიფოსა და საზოგადოებაში გამეფებულ ძალთა წინააღმდეგ მიმართული) და თავისებურათ სოციალისტური მოძრაობა იყო (რომელიც ესწრაფოდა პრიმიტიულ, თანასწორ-განაწილების კომუნისმს). მან შექმნა ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოში უძლიერესი ვახდა და აიძულა სახელმწიფო ხელისუფლება მის წინაშე ქედი მოეხარა, მისი მოსამსახურე გამხდარიყო. ამასთან ერთათ ძირიანათ შეიცვალა თვით ქრისტიანული ორგანიზაციის ხასიათი, მასის განთავისუფლების იარაღიდან ეცვლესა მისი დამონების და გაყვლების აპარატთ იქცა. ბოლოს მან წარმოშვა ინკვიზიცია—ეს ჩეკის წინამორბედი, და იესუიტთა ორდენი—ეს მესამე ინტერნაციონალის წინამორბედი. წარმოშობის ხანის იდეებიდან მას შერჩა მხოლოდ ფრაზები. პაპი, რომელიც მეფეებზე და იმპერატორებზე მბრძანებლობას ესწრაფვის და დროებით აღწევს კიდევ, თავის თავს „უფლის მონათა მონას“ უწოდებს; დაგროვებული უამრავი საეკლესიო ქონება; რომელიც მაღალ სამღვდლოებების უსახლგრო ბრწყინვალეების და ძლიერების წყაროს შეადგენს. «ღარიბთა მემკვიდრეობათ» იწოდება.

ჩემი წიგნის—„ქრისტიანობის წარმოშობის“ ბოლოს მე გავარჩიე საკითხი: არსებობს თუ არა საშიშროება, რომ პროლეტარიატის ორგანიზაციების აპარატი, პარტია, პროფეს. კავშირები, კოოპერატივები, გამანთავისუფლებელ საშუალებათაგან მშრომელთა მასების დამმანებელ იარაღთ გადაიქცენ, როგორც ეს ეკლესიის მაგალითზე მოხდა? ამ კითხვზე მე უარყოფითი პასუხი ვაგვირ. ბოლშევიზმმა სწორით ისეთივე ცვლილების გზა გაიარა, როგორიც კათოლიკურ ეკლესიამ, მხოლოდ საშინელი სისწრაფით და კიდევ უფრო მეტის ენერჯით. მიუხედავათ ამისა მე კვლავ ვიცავ ჩემ წიგნში გამოთქმულ შეხედულებას. თუ რატომ უნდა მიაღწიოს უკეთეს შედეგებს დღევანდელმა სოციალისტურმა მოძრაობამ, ვინემ ქრისტიანულმა—ამას მე ვხსნი იმ ცვლილებებით, რომლებიც მის შემდეგ განიცადა სახელმწიფომ, საწარმოო ძალებმა, პროლეტარიატმა.

თანამედროვე მუშათა მოძრაობას თავის სათავე აქვს დემოკრატიის დიად გამარჯვებაში, საფრანგეთის დიდ რევოლიუციაში. მას შემდეგ განვლილი საუკუნე, მიუხედავათ მრავალ ცვალებადობისა და მერყეობისა,

მოწმობს დემოკრატიის მუდმივ წინსვლას, საწარმოო ძალთა პირდაპირ სახლავრო განვითარებას და ზრდას არა მარტო პროლეტარიატის გაყველვის, არამედ აგრეთვე მისი დამოუკიდებლობის და შეგნების (გვ. 501).

დემოკრატია, საწარმოო ძალთა უსაზღვრო განვითარება, პროლეტარიატის ძლიერება და შეგნება—იხს სამი ფაქტორი, რომლებზედაც ცენდება სოციალიზმი; მაგრამ ამავე ფაქტორების გამო შეუძლებელია პროლეტარულ ორგანიზაციითა აპარატს საშუალება დაურჩეს ან თუნდაც სურვილი დაებრუნოს მასებს დაუპირდაპირდეს, როგორც მათზე მალა მდგომი ძალა. არც ერთი ამ სამ ფაქტორთაგანი არ მოიპოვებოდა მომაკვდავ რომის იმპერიაში. ისინი მეტათ სუსტი და ნაკლებ განვითარებული იყვნენ აგრეთვე რუსეთში მეორე რევოლუციის დროისთვის. ამიტომაც შესაძლებელი გახდა იქ პროლეტარულ ორგანიზაციების ერთი აპარატის მიერ დიქტატორულ ბრძანებლობის მოპოება მთელ ხალხზე და მით მსგავსათ კათოლიკური ეკლესიისა— განსაკუთრებით საშუალო საუკუნოებში—მშრომელ კლასებისათვის უმძიმეს ბორკილებათ გადაქცევა.

ჩვენი დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა განვსაზღვროთ არა იმის მიხედვით, რაც ჩვენ მის წარმოშობის დროის შესახებ ვიცით, არამედ იმის დაგვარათ, რასაც ის წარმოადგენს დღეს. ასეთივე უნდა იყოს ჩვენი განწყობილება ბოლშევიზმთან.

მაგრამ არა მარტო დროის, არამედ ადგილის მიხედვითაც უნდა განვსაზღვროთ ჩვენ ჩვენი დამოკიდებულება სხვადასხვა კომუნისტურ პარტიებთან: მათ სულ სხვა ხასიათი აქვთ, საცა ისინი, ოპოზიციის მდგომარეობაში, პროლეტარიატის სასარგებლოთ იბრძვიან. და სულ სხვა იქ, საცა მათ სახელმწიფო ძალაუფლება უპყრიათ ხელთ და მას მშრომელ მასების ყოველგვარ თავისუფალ მოძრაობის დასაბრუნებლათ იყენებენ.

მრავალი ჩვენი ამხანაგი იმ ზარისაა, რომ ჩვენსა და ჩვენი ქვეყნის კომუნისტებს შორის უფსკრული არსებობს. ხოლო რუსეთის ბოლშევიზმს, მათის ზარით, პირიქით შესაძლებელია შევეწყოთ: ის რუსის ხალხის თავისებურობის შესაფერო ფორმაა პროლეტარიატის ბატონობის, რომელიც დასავლეთ ევროპას არ უფლებაა. მე სულ სხვაა ზარის ვარი. რუსეთის გარეშე კომუნისტები მომეტებულ ნაწილათ, გარდა რუსეთის სახელმწიფო ფულით დაქირავებულთა, აწარმოებენ ბრძოლას პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ისე, როგორც ვაწარმოებთ ჩვენ. ისინი ეწვიან მას სულ სხვა მეთოდებით, რომელნი ჩვენ უნდა დავგმოთ, როგორც დამღუპელი, მარა მიზანი ჩვენ საერთო გვაქვს და ამიტომ ჩვენ შევძლებთ მათთან ერთათ მუშაობას მომავალში, როდესაც ისინი შეიგნებენ თავიანთი მეთოდების უფრობებს. მათ შესახებ მე სასუბით ვაწერ ხელს იმას, რასაც ოტო ბაუერი ბოლშევიკებზე ამბობს. მეც ვალიარებ, რომ:

კომუნისტები რუსეთის გარეშე არიან უეჭველათ განთავისუფლებისათვის მებრძოლ პროლეტარიატის ერთ ნაწილზე დაყრდნობილი, უეჭველათ რევოლუციური და უეჭველათ სოციალისტური პარტია. რა დიდიც არ უნდა იყოს განსხვავება მათსა და ჩვენს სოციალიზმს შორის, მაინც ისიც და ესეც სოციალიზმია. და ამ სოციალიზმის ერთობისაგან გამომდინარეობს, ჩვენ შორის არსებულ ყოველივე წინააღმდეგობათა მიუხედავათ, ინტერესთა შედარებითი ერთობა. *)

ეს მართალი იყო წინეთ ბოლშევიკების მიმართაც რუსეთში. მაგრამ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მართველობა ჩაიგდეს ხელში, მათთვის უსაზღვრო ძალა-უფლების შერჩენა იქცა თვით მიზნათ, და ეს კი უფრო და უფრო შეუორებებლ წინააღმდეგობაში აგდებს მათ პროლეტარიატის მიმართ, ვინაიდან პროლეტარიატი არის ყველაზე ენერგიული, მოწინავე მებრძოლი ხალხის მასის მოძრაობის და განვითარების თავისუფლებისათვის; ამიტომაც, რომ პროლეტარიატს დევნა, რაც დრო გადის, მით უფრო არსებობის მიუცილებელ პირობათ იქცევა ბოლშევიკებისთვის.

არა კაპიტალიზმი, არამედ პროლეტარული დემოკრატია არის ის მოწინააღმდეგე, რომელსაც უმოწყალოთ ებრძვის ბოლშევიზმი. უცხოეთის კაპიტალისტებთან ის ცდილობს შეგობრულ განწყობილების დამყარებას, საკუთარ ქვეყანაშიც

*) ეს ადგილი ამოღებულია ოტო ბაუერის წერილიდან ბოლშევიზმის შესახებ («დერ კამფ», 1925 წ. აგვისტოს №-ში) იმ ცვლილებით, რომ კალკიმ დასაწყისში, საცა ბაუერს ჰქონდა: «ბოლშევიკები არიან» და სხვა, ჩასვა: «კომუნისტები რუსეთის გარეშე არიან» და სხვ. მთარგ. შენიშვნა.



ანიჭებს მათ ერთგვარი მოძრაობის თავისუფლებას. პროლეტარიატის ყოველივე თავისუფალი განძრევა კი მათ სისხლში უნდა ჩაახრჩონ. ბოლშევიკებმა არამც თუ მეტი სოციალ-დემოკრატი და სოციალისტ-რევოლიუციონერი დაატუსაღეს, აწვალეს, მოკლეს, ვინემ თვით ჰორტის უნგრეთმა და ფაშისტურმა იტალიამ, არამედ ამასთანავე ყოველი ღონე იხმარეს და ხმარობენ დღესაც, რომ ყოველივე წინააღმდეგობის უნარი დაუკარგონ პროლეტარიატს, ხოლო თავიანთ კაპიტალისტურ—კერძო თუ სახელმწიფო-კაპიტალისტურ—მტრებს უფრო და უფრო მეტ უფლებებს უთმობენ.

ეს ძალიან კარგათ არის აღნიშნული უკვე მოხსენებულ მენშევიკურ მემორანდუმში,*) საცა სწერია:

„ის, რაც რუსეთში არსებობს, არის არა დიქტატურა მუშათა კლასის, არამედ დიქტატურა მუშათა კლასზე, რომელიც მით უფრო საშიშია პროლეტარულ მოძრაობის მომავლისათვის, რომ მისი მფარველობით და ხელის შეწყობით იქმნება ბურჟუაზიული ელემენტები, რომლებიც დიქტატურის მიერ განიარაღებულ პროლეტარიატში პოვებენ საუკეთესო რაბიეტს გაყვალვისას.“

აი ესაა, როგორც მენშევიკურ მემორანდუმის ავტორთათვის, ისე ჩემთვისაც, ნამდვილი შინაარსი ბოლშევიკური რეჟიმის. ამ რეჟიმთან დამოკიდებულებაში მე ვერ აღმომიჩენია ჩვენთვის, სოციალ-დემოკრატებისათვის, თუ გინდ სულ მცირე ერთობა ინტერესებისა, მე ვხედავ მხოლოდ წინააღმდეგობას, რომელიც ისევე მწვავე და შეუერივებელია, როგორც წინააღმდეგობა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის.

ლი ვ ვ ი დ ა ც ი ი ს ა კ ვ ნ.

ლენინის მემკვიდრეთა ბანაკი ირღვევა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ბოლშევიკთა მეთაურის გარდაცვალებით კომუნისტურ დიქტატურის წინაშე საბედისწერო საკითხი დაისმებოდა.

ვინ უნდა მართოს პარტია? ვინ დაეპატრონება ცეკას პოლიტბიუროს და მით ხელთ იგდებს მთელ სახელმწიფოს სადავეს?

ბრძოლა თავდაპირველათ ტროცკის განდევნით დამთავრდა. ეს მერყევი პოლიტიკოსი, რომელმაც დღიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შესვლისა შემოიარა ყველა ჯგუფი და ფრაქცია, ერთი დაკვრით ჩამოიშორეს. ტროცკიზმი—არსებული გზიდან მნიშვნელოვანი გადახრა—დაასამარეს. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. ძველი ბოლშევიკური გვარდია, რომელიც თავიდანვე ლენინთან ერთად იყო პირსა და ლხინში, რასაკვირველია ვერ შეუერივებოდა პარტიაში ახლათ მოვლენილ პირის გაბატონებას. პარტიას სათავეში სამი პირი მოექცა: ზინოვიევი, კამენევი და სტალინი. ერთი და განუყოფელი დიქტატურა, მაგრამ შეთანხმებული სამების სახით—აი საბჭოთა კავშირის გამტე იმ ხანათ.

კომუნისტურ პარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ ეს სამება დამარხა, ზინოვიევი-კამენევის „გადახრა“ დაგმო და სტალინის თვითმპყრობელობა დაადასტურა. ასეთია ბოლშევიზმის განვითარების ახალი საფეხური. ლენინის ძველი გვარდია შუაზე გაიპო.

მოხდა ის, რაც ბოლშევიზმის არსებაში ჩაქსოვილია და რასაც მისი განვითარება აუცილებლათ იწვევდა. ლენინი თავიდანვე გამოეთიშა მეცნიერულ სოციალიზმს და საკუთარი რუსული გზა აირჩია.

მარქსისტული მოძღვრებით სოციალიზმის დამყარება ბურჟუაზიულ წარმოებით მზადდება და კაპიტალიზმის უაღრეს განვითარების შედეგი იქნება. ლენინის აზრით პირიქით, საკმარისია რჩეულ რევოლიუციონერთა მეოხებით სახელმწიფო ძალაუფლება ხელთ იგდო, რომ ეკონომიური განვითარება დაიმორჩილო და ის თავის ნება-

*) ეს არის მემორანდუმი, რომელიც რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის ცენტრალურ ბიურომ გადასცა ე. წ. „გერმანელ მუშათა დელეგაციას“ ამ უკანასკნელის რუსეთში ყოფნის დროს და რომელიც თავის დროზე მთავსებული იყო «სოც. ვესტნიკში». მთარგმნელის შენიშვნა.

ზე მოდრიკო, ბლანკიზმი უაღრესათ განავითარო. ოქტომბრის გადატრიალებით რევოლუციონერთა უმნიშვნელო ჯგუფის დიქტატურა სოციალიზმის დასაბამით მონათლეს. ხოლო ტერორი მის საუკეთესო იარაღთ გამოაცხადეს. ამ გზით სოციალიზმის სამეფოდან მუშათა მასის თვითმოქმედება სავსებით განდევნილია. ლენინის ნებასურვილი რევოლუციის უშალღეს კანონათ გადაიქცა. პოლიტიკური პარტია მოისპო, ახალი სექტა დაარსდა. მაჰმადის მსგავსად ლენინი ბოლშევიკთა წინასწარმეტყველი შეიქნა.

კომუნისტური პარტია მისი ხელმძღვანელობით დაეპატრონა მეფის იმპერიას, თავის დიქტატურას დაუმორჩილა ახლათ განთავისუფლებული ერებიც, მაგრამ სოციალიზმი არსათ სჩანს. პირიქით, საჭირო შეიქნა უკან დახვევა. ამას გადაჭრით მოითხოვდა გლეხკაცობის ინტერესები, რომელმაც რევოლუციის ხანაში დაიტაცა მემამულეთა ადგილმამული და ეკონომიურათ მოღონიერდა. ბურჟუაზიული ტალღა სოფლიდან ქალაქს მოაწვა და სექტაც წამოაჩოქა. ლენინმა ნაცვლათ სოციალიზმის დაუყოვნებლივ განხორციელებისა—ნეპი გამოაცხადა. ამით ბურჟუაზიის აღორძინებას გასაქანი მიეცა.

სოფლის ბურჟუაზია კულაკების სახით მოღონიერდა და დაირაზმა კომუნისტების ამოსავლებათ, აი ბოლშევიკურ იდეოლოგიის კრიზისის დასაბამი.

ამას ზედ დაერთო წინასწარმეტყველის ჩამოშორება და ლენინის სიკვდილით პარტიის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა ორგანიზაციული კრიზისი. იდეოლოგიის გადასინჯვა და ახალ დიქტატორთა დანიშვნა—აი სადაო საკითხი. მდგომარეობა უაღრესათ კრიტიკულია.

სანამ პარტიისა და მით საბჭოთა კავშირის სეპედეს განაგებდა ლენინის ძველი გეარდის სამება, ყველაფერი გარეგნულათ მაინც მშვიდობიანათ მიმდინარეობდა. მაგრამ აი თვით სამების მილიანობა შეირყა, მათ შორის თავი იჩინა ახრთა სხვადასხვაობამ. ბრძოლა გაჩაღდა. მორიგება შეუძლებელი შეიქნა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს ფარგლებში. და აი ის საჯაროთ მეთოთხმეტე ყრილობაზე გადაიტახეს.

რისთვის იბრძვიან? საით მიდიან? ვინ გაიმარჯვებს?

ერთს მხარეზეა ზინოვიევი, კამენევი, კრუპსკის ქალი (ლენინის ქვრივი), ლაშვიჩი და ზოგი სხვა ცნობილი ბოლშევიკები. ისინი პოლიტიკურს უკვიენებენ მსხვილ გლეხთა საფრთხის მიფუჩეჩებას, გაუბედავათ ნების შეკვეცასა და კულაკების წინააღმდეგ ზომების მიღებას ითხოვენ. ნაბიჯი აშკარა რეაქციონურია: ეკონომიური განვითარება გადაჭრით მოითხოვს სოფლად საწარმოვო ძალთა განვითარების ხელის შეწყობას.

მეორე მხარეზეა სტალინი, როკოვი, ბუხარინი და სხვა მეორე ხარისხიანი ბოლშევიკები. ისინი სამხედრო კომუნისტურ საბოლოოთ გმობენ, მით სოფლის კულაკებს ზანს უკავადვენ და კომუნისტურ დიქტატურის დამხობას იახლოვებენ. ბურჟუაზიის ეკონომიური გაძლიერება ბოლშევიკურ ბატონობას ნიადაგს აცლის და მის დაცემას აჩქარებს.

ზინოვიევი და კამენევი აღიარებენ, რომ შეუძლებელია სოციალისტურ სამეფოს ეკონომიურათ ჩამორჩენილ ანუ სასოფლო სამეურნეო ქვეყანაში აგება, სანამ ევროპის პროლეტარიატი არ დარაზმულა და სოციალიზმის დასაფუძნებლათ არ ამოძარავებულა. დიაგნოზი სწორია, ხოლო ეს მიახწავებს კომუნისტურ პოლიტიკის დამხობას. კომინტერნის ოფიციალური თავმჯდომარე ზინოვიევი მას ძირს უთხრის.

სტალინი და ბუხარინიც დარწმუნდენ, რომ მსოფლიო რევოლუციასზე ფიქრი ამჟამათ ფუჭი ოცნება შეიქნა და ამიტომაც რუსულ სოციალიზმის დაწყარებას ელტვიან, ე. ი. ნაროდნიკულ ჩმახვას მარქსიზმათ ასაღებენ და ქვეყანას უკან მიაქანებენ.

როგორც ხედავთ, კომუნისტურ მონასტერში ძალდი პატრონს ველარ სცნობს, ხოლო ყველანი ერთათ თუმცა სხვადასხვა მხრიდან ციხეს შიგნიდან ანგრევენ და სამარეს თავისივე ხელებით ხხრიან.

მთავარი განსხვავება შემდეგ იწყება. როგორც დავინახეთ, ბოლშევიზმისათვის სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნება უმთავრესია. დასთმე ეკონომიურ სფეროში, ოღონდ პოლიტიკური ბატონობა ხელიდან არ გაუშვა—აი მისი სამოქმედო პრინციპი. და აი სტალინიც კომუნისტურ პარტიის ტრადიციებზე ხელს იღებს და საბოლოოთ სოფლის ბურჟუაზიის წინაშე იჩოქებს, ოღონდ დროებით მაინც დიქტატურა შეინარჩუნოს. ფუჭი ოცნებათ! პირიქით, ბურჟუაზიის მოღონიერება დიქტატურის დამხობას აჩქარებს.



მაგრამ ეს სტალინელთა ბანაკს ოპოზიციის წინააღმდეგ უპირატესობას ანიჭებს. დაასამარე ძველი პარტია, მაგრამ შეინარჩუნე ძალაუფლება—ასეთია ბოლშევიკური ბიუროკრატიის დღიური ლოზუნგი.

მართლაც, ზინოვიევი-კამენევისა და მათ მიმდევართა მხარეზეა თეორიული მომზადება და ხანგრძლივი რევოლუციური გამოცდილება. ძველი ბოლშევიკები, რომელნიც პირველი რევოლუციისა და რეაქციის ხანაში ლენინთან ერთად იბრძოდნენ, უმთავრესად ოპოზიციას ეკედლებიან. ამ მხრივ დღევანდელი უმრავლესობა გაცილებით დაბნეა დგას. სამაგიეროდ სტალინი ძლიერია მით, რომ ის პარტიის გენერალური მდივანია და მით პარტიისა და სახელმწიფოს სრული ბატონ-გამგეა.

როგორც ხედავთ ოპოზიცია შედარებით ძლიერია იდეურ მომზადებით, ხოლო სტალინის ბანაკი მუშტით, ორგანიზაციის აპარატის დამორჩილებით. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს იდეურ საბუთს იქ, სადაც დიქტატურა ბატონობს? აკი საბჭოთა კავშირის ახასიათებს აზრის დატუქსვა, პრესის, სიტყვისა და კრების თავისუფლების აღკვეთა! დღემდის ეს იყო მიმართული ხალხის დასამორჩილებლად და მით კომუნისტურ პარტიის ბატონობის უზრუნველსაყოფად, თავისუფლების მოტრფიალვ ერთა და ყველა რევოლუციურ და ოპოზიციურ პარტიათა დასატუქსავათ. ამ იარაღით ბოლშევიზმი ებრძოდა ე. წ. მუშათა ოპოზიციის და ტროცკის გადახრას. დღეს იგივე იარაღი კომინტერნის თავმჯდომარის წინააღმდეგ მიმართეს და ლენინის მთელ ძველ გვარდიას პირში ბურთი ჩასჩარეს. იფიქრე ისე, როგორც აზროვნობს სტალინი, თუმცა მისი იდეური შემოქმედება ჯერ არავის გაუგონია! იმოქმედე ისე, როგორც გენერალური მდივანი გიბრძანებს! ასე ჩამოქვეითდა ბოლშევიკური პარტია.

დღემდის ფართო საზოგადოებამ, აგრეთვე კომუნისტებმაც კარგათ იცოდნენ, რომ საბჭოთა წევრებს კი არ ირჩევდნენ, არამედ მათ თვით კომუნისტური პარტია ნიშნავდა. მეთოთხმეტე ყრილობამ შინ და გარეთ საბოლოოდ გამოაშკარავა, რომ პარტიის ყრილობის დელეგატებსაც არავინ ირჩევს, არამედ მათ ფაქტიურად ზევიდან გენერალური მდივანი ნიშნავს. არჩევნების თავისუფლება თვით პარტიაშიც საბოლოოდ გაუქმდა. ამის შემდეგ რა გასაკვირალია, რომ სტალინის ბრძანებით კომუნისტური პარტია ყრილობაზე ლენინის ძველ გვარდიას ეკვეთა და ის მიწასთან გაასწორა.

კამენევი თვით ყრილობაზე ამოთ ითხოვდა სტალინის მდივნობიდან გადაყენებას და პარტიაში დემოკრატიის აღდგენას. რასაკვირველია ეს «ლიკვიდატორული» მოთხოვნა უბასუხოდ დასტოვეს. აკი პარტიის შინაგან თავისუფლების აღდგენა ბოლშევიკურ დიქტატურის დამხობის დასაბამი შეიქნებოდა!

ყრილობის შემდეგ პეტროგრადის ოპოზიციის დამორჩილებით დამთავრდა კამენევისა წესის აგება, ზინოვიევის საუფლისწულო მამულის აკლება და მისი გაწმენდა კომინტერნის თავმჯდომარის ნათესავთა თარეშისაგან.

როგორც აუცილებელი იყო, ოპოზიცია დამარცხდა. დიქტატურის წრე საბოლოოდ დასრულდა. ლენინის მემკვიდრეობის საკითხი მის ნამდვილ გვარდიის განდევნით გადაიჭრა. სექტის ცნობილი მოციქულები მწვალებლებთან გამოაცხადეს და მათი იდეური გადახრა სტალინის ეკლესიიდან მსოფლიოს აუწყეს.

მოკლედ, ლენინის სექტა საბოლოოდ დაკნინდა და თავისი დაქცევის დროშა მან თვითვე ააფრიალა. ამით რუსულ კომუნისმის ლიკვიდაცია შინ და გარეთ თვით კომუნისტთა მიერ დღის წესრიგში დაისვა.

ნ. რამიცილი.

კ ო ლ პ ე რ ა ც ი ა.

საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთ დარგში, შეიძლება გარდა სწავლა-განათლებისა, საბჭოთა ხელის უფლებას არ შეეძლო ისე ადვილად გამოეჩინა საქმიანობის უნარი, როგორც კოლხური ან სხვა.

კოლხური ან სხვაში ლტოლილებმა რუსეთში და ჩვენში თვითპყრობელობის უკანასკნელ ხანებშიც, მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებისა, ძლიერი იყო მშრომელთა მასაში; საქონლის ნაკლებობა, ცხოვრების სიძვირე, თვითმოქმედების სხვა ყო-

ველგვარ ასპარეზის დახშობა მძლავრათ მიერეკებოდა მშრომელთა მასას კოლმეცნიერების ცილაში მაშინ და, რადგან ეს პირობები საბჭოთა წყობილებაში არ გაუმჯობესებულა, კოლპერაციას ახლა კიდევ უფრო უნდა შეეკავშირებია იგი.

მაგრამ ასე არ მოხდა. პირიქით, კოლპერაცია რუსეთშიც და ჩვენშიც დაძაბუნდა—ნივთიერთაც და მორალურათაც. საბჭოთა გაზეთები საესეა კოლპერატივების ზარალი, უიმედო დავალიანების და იქ გამეფებულ ბოროტმოქმედების ამბებით. მაგალითისთვის ავიღოთ ვახ. «კომუნისტის» შემთხვევითი ნომერი. აი რას ვკითხულობთ იქ: «ერთი თვის წინათ წარმოებულმა რევნიზამ ქუთაისის მაზრის თემების მთელ რიგ კოლპერატიულ ორგანიზაციებში აღმოაჩინა გამგეობის წევრების და სხვა პასუხისმგებელ თანამშრომელთა მიერ ფულის გაფლანგვა და კოლპერატიულ ქონების მითვისება. მაგალითათ, სოფ. მუხიანის მომხმარებელ საზოგადოების პასუხისმგებელ წევრთა გაუფლანგავს 700 მან. მეტი... იმავე მომხმარებელ საზოგადოებაში ნოქარს ვაჭაძეს სექტემბერში გაუფლანგავს 670 მან. 115 მან. მიუთვისებია აგრეთვე მუხიანის კოლპერატივის ფურნის გამგეს... სოფ. ვანის მომხმარ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს გაუფლანგავს... 1472 მან., იმავე საზოგადოების გამგეობის წევრს შეუჯამია 375 მან., გამგეობის იმავე წევრს მიუთვისებია 1000 მან... მოანგარიშე და ნოქარს გაფლანგული აღმოაჩნდა 900 მან... .. ნესტაფანის მომხმ. საზოგადოების დებიტორთა ანგარიშში აღნიშნულია 45 ათასი მანეთი, აქედან რამოდენიმე ათასი მანეთის შესახებ არავითარი საბუთი-დოკუმენტები არ არსებობს... გამგეობის წევრთა «საქმიანობას» არ ჩამორჩება ნოქარების «ერთგული მუშაობა» თავის ჯიბის სასარგებლოთ» («კომუნისტი» № 254, 4 ნომ. 1925 წ.)

თუ ასეთია მდგომარეობა პირველ საფეხურის კოლპერატივებში, არც ცენტრებში ყოფილა საქმე უკეთესათ. ასე, როგორც ბ. კახიანიძე საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობას მოახსენა დღეს «ცეკავშირს» ახასიათებს მძიმე ფინანსიური მდგომარეობა... ამისი უმთავრესი მიზეზი (თუ მიზეზი?) საკუთარ საღსართა უქონლობაა, რის გამოც საჭირო ხდება განუწყვეტლივ ფულის ძებნა ვალების გასასტუმრებლათ... ძნელია ლაპარაკი «ცეკავშირის» ნორმალურ მუშაობაზე, რომელიც შექმნილ მდგომარეობიდან გამოსვლას ძლივს ძლივობით ახერხებს... უფრო სავალაო მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამბობს მომხმარებელი, «წარმოკავშირის» (რომლის მხოლოდ ქება და ქება გვეხმოდა დღემდის საბჭოთა გაზეთებიდან: «წარმოკავშირის საერთო ვალი უღრის დაახლოებით 4 მილ. 600 ათას მან. ოპერაციების წარმოებიდან მიღებული ზარალი შეადგენს 1 მილ. 200 ათას მანეთს» («კომუნისტი» № 277 2 დეკ. 1925).

ასეთია კოლპერატივების უმრავლესობის მდგომარეობა, ასეთია საბჭოთა კოლპერატივების მიღწევანი. რა ზომებს არ მიმართეს, რამდენჯერ არ «იბრუნეს პირი» კომუნისტებმა კოლპერაციისაკენ, მაგრამ ამათ: კოლპერაცია დაძაბუნდა და, როგორც ახლა თვით კომუნისტები აღიარებენ, იგი საბჭოთა წყობილების «მეტად სუსტ ფრონტათ» გადაიქცა (იხ. მ. კახიანის სიტყვა საქ. კომპ. მეოთხე ყრილობაზე). აი მართლაც საუკეთესო ნიმუში საბჭოთა სახალხო მეურნეობის განვითარების, ნამდვილი სარკე მათი საქმიანობის!

სად არის შველა, სად არის ამ უნუგეშო მდგომარეობის მიზეზი?—ეკითხებიან თავის თავს ბოლშევიკები. მართალია, მოკლეთ და ალბათ უნებლიეთაც, მაგრამ ამის სამართლიან პასუხს თვით ბ. ორახელაშვილი იძლევა საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობაზე: «ჩვენ ვიცითო, განაცხადა მან, რომ გვაქვს დამუღვევებული კოლპერაცია, ჩვენ ვიცით მისი ტივილების და იარების შესახებ, რომელშიაც ბევრ შემთხვევაში დამნაშავე ვართ თვით ჩვენ, როგორც პარტია, როგორც სახელმწიფო»-ო («კომუნისტი» № 283, 9 დეკ. 1925).

დაიხ, სწორეთ ეს არის ნამდვილი მიზეზი: კოლპერაცია საბჭოთა წესწყობილებაში ვერ განვითარდება, რადგან კოლპერატიული მოძრაობა ეყრდნობა რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ბოლშევიკების პარტიულ და სახელმწიფო საქმიანობას. ეს პრინციპებია: 1) სრული თვითმოქმედება, თავისუფლების ნიადაგზე აღმოცენებული და 2) სრული თანასწორობა ანუ დემოკრატიზმი.

შემთხვევითი პირობები არ ყოფილა, რომ თანამედროვე კოლპერატიულ მოძრაობის აკვანი იყო ინგლისი, სწორეთ ინგლისი—აკვანი დემოკრატიულ წესწყობილების ცნობილ «როზდელის პიონერებს», მუშების ზომიერ ელემენტებს, დღევანდელ რუსესთვის პირობებში საკუთარ ჭირ-ვარამზე სალაპარაკოთ თავის მოყრის უფლებას არა-

ვინ მისცემდა; მართალია, მათ ინგლისშიც დაცინვა და დამცირება ბევრი გადაიტანეს, რადგან მაშინ არავის სწამდა ეს ახალი საქმე. მაგრამ მათი მოქმედებისთვის ხელი მაინც არავის შეუშლია. თავისუფალ პირობებში შეუწყო ხელი რეზორც ინგლისის «პიონერებს», ისე თანამედროვე კოლპერატიულ მოძრაობის განვითარებას ყოველგან, თორემ იდეა კოლპერაციის ანუ თანამშრომლობის თუმცა ძველის-ძველიდან არსებობდა, იგი არ განვითარებულა არც ფეოდალურ წესწყობილების, არც დესპოტიზმის ხანაში. თვითმოქმედების სრული შებორკვა, შიში მოქალაქის, რომ არ წამოცდეს ისეთი რამე, რაც შეიძლება ხელის უფლებას ან მის პარტიულ კაცებს არ მოეწონოს, კოლპერატიულ მასას საბჭოთა კავშირში აყენებს გამგობის მოქმედების უსიტყვო მოწმის და მონის მდგომარეობაში. საბჭოთა კოლპერაციის გამგეობა ისეთივე აღმასრულებელი ორგანოა საზოგადო კრების, როგორც ძველი რეჟიმის დროს სოფლის ყრილობის მიერ არჩეული მამასახლისი და მწერალი იყვენ. გამგეობის წევრნი მთავრობის და პარტიის უბრალო აგენტებია, მით უფრო რომ მოკლებული მასის ნდობას კოლპერატივი ნივთიერთაც სავსებით მთავრობაზე არის დამოკიდებული. განა შესაძლებელია თავისუფალი იყოს ისეთი დაწესებულება, სადაც ერთი ცვათედი თუ არის საკუთარი თანხა და ცხრა მეათედი კი მთავრობის ფულია?

ამ «უფულობასაც» აქვს თავისი მიზეზები. პირველი მიზეზი, რა თქმა უნდა, უნდობლობაა ისეთ «საკუთარ» დაწესებულებისადმი, სადაც წევრები თავს თავისუფლად ვერ გრძობენ; მეორე—ისაა, რომ კოლპერატიულ მოძრაობის განვითარებისთვის საჭიროა ისეთი სოციალური წრე, რომელსაც შეუძლია დაზოგვა—ცოტა რამის საერთო საქმისთვის გადადება: ლუმპენპროლეტარიატის და ბოგანოთა წრეში კოლპერაცია ვერ განვითარდება, ეს ძველის-ძველი ჭეშმარიტებაა. და თუ ევროპის მუშათა და გლეხთა შორის კოლპერ. მოძრაობა ძლიერია, სხვათა შორის იმიტომაც, რომ სოციალური მდგომარეობით ისინი რუსეთის და ჩვენებურ მშრომელთა მასაზე გაცილებით მაღლა დგანან; ჩვენებური მუშების უმრავლესობა დღეს ვალატაკებულია, გლეხი გაბოგანებულია. ამით აღარ შეუძლიათ არც საკუთარ წრეში თანხების მოგროვება, არც ერთ უმთავრეს კოლპერატიულ პრინციპს—ნაღდზე ვაჭრობის—დაცვა. საბჭოთა ხელის უფლებას უნდოდა კოლპერატივებისთვის კრედიტის მიწოდებით მოსპობა ამ სოციალურ უბედურობის, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო და არც მოხერხდა.

კოლპერაცია არ არის პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზი, მაგრამ კოლპერატივი არც ისეთი აპოლიტიკური დაწესებულებაა, რომ პოლიტიკურ საკითხებს არ შეეხოს. კრების, სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლება, გადასახადების საკითხი, ვაჭრობის სისტემა და მონაპოვები და მთელი რიგი ასეთი საკითხების აუცილებლათ აინტერესებს კოლპერატივის წევრებს. დემოკრატიულ სახელმწიფოებში კოლპერატორებს არც სურიათ ასეთ საკითხების გამო თავის მტერევა. ხოლო საბჭოთა კავშირში კი, სადაც არც ერთი ასეთი თავისუფლება არ არსებობს, არც თავისუფალი ვაჭრობაა, არც თავისუფალი კრედიტია, მონაპოვები კი არა წარმოების მოსაწესრიგებლათ, არამედ წმინდა ფსკალურ დანიშნულებით არის შემოღებული, კიდევ უფრო გართულებულია კოლპერატორების დამოკიდებულება მთავრობასთან, ვინემ ჩვეულებრივ პირობებში.

და როგორ გსურთ, კოლპერატივის წევრი, უბრალო მოქალაქე, უპირველეს ყოვლისა საკუთარ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ჩაწერილი კოლპერატივში, არ შეეხოს კოლპერაციის კეთილდღეობისთვის ამ საჭირო და მწვავე საკითხებს? ეს კი საბჭოთა კავშირში დაუშვებელია. იმიტომაც კოლპერატივში ხალხი უგულოთ მიდის, ასე ვსთქვათ, მოვალეობის მოსახდელათ; არც საზოგადო კრებებს ესწრება, არც საპაიო გადასახადს იხდის, არც საქმის მსვლელობით არის დაინტერესებული. ამას ერთ-ერთ ალტერნატივს თვით ბოლშევიკების პრესა. მამ სადღა არის კოლპერაციის არსებითი თვისება—თვითმოქმედება, თავისუფალი თანამშრომლობა? სად არის სული კოლპერატიული საზოგადოებრივობის? თუ მართალი გნებავთ, კოლპერაცია დღეს ჩვენში სრულებითაც არ არსებობს. ეს ბოლშევიკების ისეთმა ავტორიტეტუალ კი აღიარა, როგორც არის მათი პარტიული მომხსენებელი ბ. კანიაინი: «არავითარ კოლპერატიულ აქტივობას არ ნიშნავს ის, რომ გვერდის მუშაობის რამოდენიმე დუქანი და გვეყვადეს ქალაღდზე—26.000 წევრიო»—განაცხადა მან ერთ ყრილობაზე («კომუნისტი» № 262, 14 ნოემბ. 1925).

ამას ამბობენ, მაგრამ მის მაგიერ რომ ამ «დუქნებს» საკუთარი სახელი უწოდონ, მაინც ჩააცივდენ, უწოდებენ მას კოლპერატივებს და ყურით მიათრევენ კოლპერაცი-

ისტვის სრულიად უჩვეულ გზებზე. თვითმოქმედების და თავისუფალ თანამშრომლობის პრინციპი იქ შესცვალეს სახელმწიფოს ოპკით, ცირკულიარებით, ბრძანებებით, მონოპოლიებით.

ბოლშევიკების წარმოდგენით ალბათ კოოპერატივი სოციალისტური დაწესებულება და ამიტომ იგი უნდა შევუებოდა ყველა იმ «სოციალისტურ» ექსპერიმენტებს, რომელიც ბოლშევიკებმა საზოგადოებრივი მეურნეობის სხვა დარგებშიც ყოველად საზარალოთ სცადეს. რითი ხელმძღვანელობდენ, მაგალითათ, ისინი როცა საკრედიტო კოოპერატივები მოსპეს? თუ ერთ დროს ფ. ლასალი გააფთრებით იბრძოდა შულცე-დელიჩის კასების წინააღმდეგ და შულცეს «წერილობურკუთხიული გამოგონება» მას პროლეტარიატისთვის სასარგებლოთ არ მიიჩნა, მას თვით იდეა იმ წრისთვის, რომელიც შემნახველ კასებმა შემდეგ დიდი ნიადაგი კპოვა (გლენობა და ხელისნები), არაა თუ არ უარუყვია, ამ მხრივ შულცე-დელიჩის ენერჯიას იგი აფასებდა კიდევც. ესეც არ იყოს, ჩვენში ხომ უმთავრესათ რაიფინინის ტიპის—უფრო დემოკრატიული და მშრომელთათვის უფრო ხელმისაწვდომი—ამხანაგობები (საკრედიტო) არსებობდა? ბოლშევიკებმა ჯერ მოსპეს საკრედიტო კოოპერაცია, შემდეგ საკრედიტო ფუნქციები მომხმარებელ საზოგადოებას მიაკუთვნეს, მერე სასოფლო სამეურნეო ამხანაგობებს დაუკავშირეს იგი, ხოლო დაბოლოს მაინც იძულებული შეიქმნენ დაბრუნებოდენ ძველ შემნახველ-გამსესხებელ და საკრედიტო ამხანაგობებს და აღედგინათ ისინი... მთელი ძველი წესით და მოწყობილობით («ინსპექციით»-აც). რადგან საბჭოთა კავშირში არაფრის გაკეთება ნებადაურთველათ არ შეიძლება, კოოპერაციის საუკეთესო ელემენტი—გლენობა დიდი ხნის განმავლობაში მოკლებული იყო მისთვის უსაპირიოეს კოოპერაციის ფორმას—კოოპერატიულ კრედიტს. ეს იმიტომ მოხდა, რომ სხვადასხვა პირობებში მყოფ საზოგადოებრივ კლასებს, ქალაქის მუშებს და გლენობას, საბჭოთა ხელისუფლებამ ერთ კალაპორტი ჩამოსხმა დაუპირა, «წერილ ბურჟუაზიული» კრედიტის სოციალისტურათ გამოცხადებულ ქვეყანაში ზედმეტათ იცნო და კოოპერაციის დანიშნულება მხოლოდ განაწილებით, მომხმარებელ საზოგადოების ფუნქციებით, განსაზღვრა. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს სოფლისაკენ «პირის ბრუნებამ» აბრუნებია მათ პირი ამ «წერილ ბურჟუაზიულ» ინსტიტუტისაკენაც შიშით, მოკრძალებით და პოლიციურ ზეგავლენით. ათეული წლობით მოწყობილი საქმე ჯერ დაანგრის, რომ შემდეგ თავიდან დაწყეთ იგი ძველათვე არსებულ წესით!

თანამედროვე კოოპერაცია არ არის სოციალისტური დაწესებულება, იგი კაპიტალისტურ საფუძველზეა აშენებული (ვაპორბა, კრედიტი, მოგება, დაქირავებული შრომა და სხვ.), ხოლო იმ განსხვავებით, რომ კერძო კაპიტალის როლს იმაში «საზოგადოებრივი კაპიტალი» თამაშობს და ის მოგება, რომელიც კერძო კაპიტალისტის ჯიბეში უნდა გადასულიყო, საზოგადოების წევრებს, კოოპერატიულ საზოგადოებას რჩება. ამ მხრივ კოოპერაცია უპირდაპირდება კერძო კაპიტალს და თავისუფალ პირობებში იგი თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებაში დიდ პროგრესიულ როლსაც თამაშობს. ხოლო სახელმწიფოს იგი ვერ დაუპირდაპირდება და ვერც სახელმწიფოებრივ როლს იგი ვერ დაიჩემებს. დემოკრატიულ წესწყობილების პირობებში შესაძლებელია სახელმწიფო და კოოპერაცია ადვილათ გაიმიჯნონ და სამეურნეო დარგში ორივეს სასარგებლო სამოქმედო ასპარეზი გაუჩნდეს. იქ კი, სადაც სახელმწიფო კაპიტალიზმი მეფობს, სადაც სახელმწიფო მონოპოლისტია და თვითონ გახდა ვაპირიც, მერწველიც და ბანკირიც განუსაზღვრეთ უფლებებით, კოოპერაცია ვერ იხერხებს. ერთი მხრით—სახელმწიფო, იძულებითი უფლებების მატარებელი, მეორე მხრით კი იმავე დარგში მოქმედი კერძო უფლების მატარებელი კოოპერაცია,—ცხადია «ბურთი და მოედანი» ვის უნდა დარჩენოდა, კოოპერაცია უკანა პლანზე უნდა წასულიყო და წავიდა კიდევც. აქ გასაკვირი სრულებით არაფერია.

თუმცა ნამდვილ კოოპერაციისა და საბჭოთა წესწყობილების შორის ინტერესთა ასეთი წინააღმდეგობა არსებობს, საბჭოთა ხელის უფლება, როგორც ესტქვით, მაინც არ ეშვება კოოპერაციას; ხალხი არ ზრუნავს საბჭოთა კოოპერატივებზე, არ დაუახლოვდა, არ დაუკავშირდა იმას; სამაგიეროთ საბჭოთა ხელის უფლება «ზრუნავს» იმაზე, მან დაუკავშირა კოოპერაცია სახელმწიფო დაწესებულებებს, ტრესტებს, მონოპოლიებს, სხვადასხვა დეპარტამენტებს, პარტიას, ცეკას. ეს უაღრესათ სახალხო და საზოგადოებრივი დაწესებულება ხაზინამ და პარტიამ დაისაკუთრეს. კოოპერატიულ მოძრაობის აღორძინების პირველ ხანებში რუსეთის მიყრუებულ ადგილებში შეხვედ-

ბოდით ხოლმე დუქანზე ასეთ წარწერას: «მომხმარებელი საზოგადოება—პ. ი. ივანოვისა»; მე ვფიქრობ, დღეს თამამათ შეიძლება ასეთი «პრეცედენტი» ისარგებლონ და ყველა ვერეთ წოდებულ კოლპერატივებს საბჭოთა კავშირში წააწერონ: «კოლპერატივი—დუქანი რუს. კომ. პარტიისა», განა ეს სინამდვილესთან ახლოს არ იქნება? რას აკეთებენ საბჭოთა კოლპერატივები სახელმწიფო ტრესტების საქონლის გასაღების გარდა? ვანა კოლპერატივები შეიძლება წოდდოს იმ დუქნებს, სადაც, როგორც ბ. ორჯონიკიძე მოგვითხრობს, «საბჭო და უჯრედი ბრძანებლობს», სადაც «ნიშნავენ ვინც სურთ, ითხოვენ სამსახურიდან, გადააქვთ ესა თუ ის კოლპერატივი ერთი რაიონიდან მეორეში, ხსნიან, ხუთავენ და სხვ.»?

არა, კოლპერაცია საბჭოთა კავშირში დღეს არ არსებობს და იმ პირთ, ვისაც მართლა შესტკივა გული კოლპერაციისთვის, წვრილმანებზე დავას თავი უნდა გაანებონ და თუ ხელის უფლებებისთვის რისიმე თქმა შეუძლიათ, უნდა უთხრან ის, რაც ერთმა ცნობილმა კოლპერატორმა თვითპყრობელობის დროს პირველ კოლპერატიულ ყრილობაზე განაცხადა:

«მთავრობას სურს კოლპერაციის განვითარებას ხელი შეუწყოს? ჩვენ, კოლპერატორები, მას ესთხოვთ მხოლოდ ერთს რასმე: თავი გაგვანებოს, ჩვენს საქმეში ნუ ჩაერევა!»

გარეშე თავისუფალ პირობებისა კოლპერაცია ვერ განვითარდება და ვერავითარი პარტიული რეცეპტები მას ვერ უშველის.

ბ. განდვლაკი.

გ ა კ ვ რ ი თ .

თევზი თავიდან აყროლდება, ნათქვამია. რუსეთის კომუნისტური პარტიაც სწორეთ თავიდან აყროლდა, და მერე რანაირათ, სიანლოვეს არავის დაედგომება, აშშორდა მთელი არე-მარე, და მისი სუნი მოდის შორს, სხვა ქვეყნებშიაც და წამლავს ყოველგან კომუნისტთა ლაშქარს. «მსოფლიო რევოლუციის» ქურუმები დაერიენ ერთმანეთს, როგორც უბრალო ბიჭ-ბუჭები და მოგვეცეს საარაკო სპექტაკლი მოსკოვის ყრილობაზე. ორი წელიწადი ინაწილეს ლენინის ნამკვდრევი, იხზუბეს, იდავიდარაბეს კულისებში და როცა ჩუმათ ვერაფერი გააწყვეს, ერთიმეორეს «პირველობა» ვერ მოსტაცეს, მთელი თავისი ბალამი საჯაროთ გადმოანთხიეს. ზინაიევის ბანდა შეეხეთქა სტალინ-ჯულაშვილისას და წაიჩოქა; ამ განათლებულ მოქალაქეთ აჯობა ლილოელ გლენმა, რომლის თავში აზრს არასოდეს არ დაუბუდებია, მარა გლენური ჯიუტობა და ხრიკი საკმაოთ მოიპოვება. ჯერ მან გააცურა ტროცკი ზინაიევი-კამენევის დახმარებით. ახლა გააცურა ესენი იმავე ტროცკის ლოცვა-კურთხევით. კობა ვანდა დიდი ინტრიგის უსტაბაში, ეს მისთვის დიდი პროგრესია, რადგან ამდენხანს წვრილმან ინტრიგანობაში იყო მუდამ გახლართული. და ასე ამ უძალო ქვეყანაში, რომელსაც რუსეთი ეწოდება, ქართული კატა აყვდა და თავის ირგვლივ ადგილობრივი ფინიები შემოიკრება. ახლა ესენი დადგენ სადარაჯოებზე და ლამობენ ყვეფით ქვეყნის აშენებას. გარეკილი მურიები შორიდან იღრინებიან და ამ ახალ დარაჯებს ძილს უფრთხობენ.

რა აწუხებს ამ ჩეკის მოსავ მხედრობას? აწუხებს ერთი უკუტრნებელი სატკივარი, მათ ახრჩობთ ოქტომბერი. ეს ცოდვა მათ ახლა გამოუწია და აძახებს, დიდის ამბით გამოცხადებული «სოციალური რევოლუცია» აღმოჩნდა დიდი სოციალური თვალთმაქცობა, რამაც გადაატაკა მთელი ხალხი, ხოლო კომუნისტებს მოუპოვა თვლილი ადგილი. ოპოზიცია მიხვდა, ეს საშინელი დანაშაულობა არ მოგვგრჩებოდა და მორთო ყვირილი, ვილუბები, ამოვიდეთ ოქტომბრის წუშქედანო. მარა სტალინის ჯეველებს, თვით ალაგას მოკლათებულთ, ეს არაფრათ ეპიტნავათ, რასაკვირელია, და გამოაცხადეს: სადაც ვართ—იქ ვრჩებითო. ამისათვის ნიადაგი უკვე წინდაწინ მომზადდა, სტალინის მძაბიუბები დროზე დაფაცურდენ და მორეკეს ყრილობაზე მეკნეუნი, საკმარისია წაიკითხოთ სია საქართველოს დელეგატებისა, რომ თქვათ—კობას კარგათ დამახსოვნებია ქუთაისის «კალისტრატოზში» და ის რუსეთის მასშტაბით აწმუშავებია. ამ

სიაში არ არის არც ერთი ქართველი ძველი ბოლშევიკი, რომელსაც ოდესმე რამენე ძალაუნებურათ უფიქრია, მათი ალაგი უჭერიათ «გამოჩენილ უცნობთ», ჩეკის კულტურით გაქლენით, ობერ-ჩეკისტის ორჯონიკიძის მეთაურობით. კენჭი გავასწორებს—აი ამ ბრბოს ერთათ-ერთი პოლიტიკური ლოზუნგი, ყრილობაზე გადასაროლი. სტალინის ტეტიური პოლიტიკა მათ თავის სახარებათ მიიღეს და მას «დაუსრულელებელი ოვაცია» გაუმართეს. კამენევი კარგათ იცოდა ამ მოყვანილი ნადის ავან-ჩავანი და ამიტომ თავის სიტყვა ასე დაათავა: კარგათ ვიცი ჩემი სიტყვა თქვენზე შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს! ეს კი ერთათ-ერთი ჭკვიანი სიტყვა იყო, რომელიც ყრილობაზე გაისმა. მაგრამ რა გამოვიდა, მეგლს სახარებას უკითხავდენ, ის კი ტყისაკენ იყურებოდა. კამენევის მსმენელნიც თავის თვით ადგილებსაკენ იყურებოდენ, არ დამეკარგოს. ამათ იდეია დიდი ხანია აღარ აწუხებს...

კენჭობით გამარჯვებულნი მორალურათ დამარცხდენ და თავის შერყეული «იდეოლოგიის» გამოსასწორებლათ «ხალხში» გადავიდენ. ბუხარინი მოგვითხრობს, როგორ დადის ის «ხალხში» და რას ეუბნებიან იქ. ერთ მუშას უთქვამს—რადას იწყებდით ამ ოქტომბერს, თუ სოციალიზმის განხორციელება არ შეიძლებოდა; მეორეს უთქვამს: თქვენ ეგება ფიქრობთ სოციალიზმის შემოღებას ერთ გუბერნიაში, ან ერთ მაზრაში? შეიძლება მართო ჩუხლომაშიაც აპირებდეთ? («ბრავდა», 10 იანვარი).

აი ხმა ერისა; ხალა «ჩუხლომის სოციალიზმი»-ს მოციქულნი განაგრძობენ «სოციალისტურ აღმშენებლობას»... თავის სადღეგრძელოთ. კამენევი მათ უმტკიცებს, რომ არაფერი სოციალისტური ამ «აღმშენებლობაში» არ ყრია, ჩუხლომელები კი გაიძახიან—როგორ არა, შემოგვხედეთ, რა ჩინებულათ ვცხოვრობთო! ოღონდაც! აი ერთი ქართველი ჩიტირეკია კომუნისტი სოლომონ დოლიძე წერილს გვწერს «კომუნისტში» ჩვენ და გვეპატიყება: მოდით, რა განახვოთ, ბაქოში იხეთს ნამდვილ სოციალისტმაო, არაფერი ამის მსგავსი ვერომაში არ მინახავს, ეს არის ელექტრონის ტრამვაიო! ასეთია ჯუღაშვილების «სოციალიზმი», დიდ-ლილოს უნივერსიტეტში ასე ასწავლიან. დაილოცა ეს სოფელი, ჩუხლომას არ ჩამოუვარდება, რა დიდი წინამძღვარი მისცა სოლომონ დოლიძეებს.

ამ არევ-დარევაში ოპოზიციაც მუშაობს. ჩუხლომის თეორეტიკოსის, ბუხარინის ცნობით, ეს არამზადა კომუნისტები დემაგოგიას ეწევიან. მუშას და გლეხს გაკეთებას პირდებიან, უცხენოს ცხენი, უბინაოს ბინა, უმიწოს მიწა—ერთი სიტყვით თანასწორობა და კეთილდღეობა. ეს მართლა დემაგოგიაა, ნების სამეფოში და სტალინის საჩუკოში არც ერთი ეს არ განხორციელდება. მაგრამ ნათქვამია—ერთი მგლისკენაც თქვიო და უნდა ვთქვათ ზინოვიევის სასარგებლოთ ის, რომ მისი დემაგოგია უმანკოება მისი პარტიის დემაგოგიასთან შედარებით. ესენი ხომ ყოველ ჯვარადინა გიწაზე გაყვირიან—სოციალიზმს ვაშენებთ, მოიცადეთ ცრტაოდენი და სასუფეველი მიწაზე დამყარდებაო! აი ამ ნამდვილ დემაგოგიას გამოუჩნდა მოქიშპე, მეორე დემაგოგია და მას ანგრევს. დემაგოგია დემაგოგიის წინააღმდეგ! პალო პალოთი ამოვარდებაო—ამბობდენ რუსები. ეს ქვეყნის მაშენებელნი ერთმანეთს დაჰამენ და მით ქვეყანას სანიტარულათ გასწმენდენ.

ამ ორონტრიალში კეთდება ერთი დიდი საქმე, იმარხება ლენინიზმი. საწყალი ლენინი! როგორ ჩქარა დაიხუტა მის მიერ გაბერილი გუდა! რალაც ორიოდ წელი განვლო მისი ხორციელი სიკვდილისაგან და აი სულიერი სიკვდილიც მას მიყვა. ჩქარა, ერთობ ჩქარა ინგრევა ლენინის მიერ იმდენი დავიდარაბით აშენებული ხუხულა. ვერ დატოვა განსვენებულმა შესაფერი დარაჯნი. სტალინის და ზინოვიევის ამარა მტერი იყო. ეს მისი სახელოვანი მემკვიდრენი უშენენ მას იქიდან-აქედან წიხლებს იმავე ლენინის სახელით. ზინოვიევი ამბობს, რომ ლენინს ვაჟარ იაკობსავეთ ყოველნაირი საქონელი აქვს და ისინიკ იტაცებენ მას, ლენინის კეტი სტალინმა მისსაუთრა, მისი უტოპია—ზინოვიევი, რალაც წვრილალები სოკოლინკოვს და კრუპსკაიასაც შეხვდა, ერთი სიტყვით გაიყვეს ლენინის სამოსელი და გაატიტვლეს მისი ცხენდარი. ამ დალაილამისაგან აღარაფერი დარჩა, გარდა მისი ურიცხვი ძეგლებისა, რომელთა დამტერევა შორს აღარ არის. ასე უსახელოთ ლეეს სულს «სახელოვანი» ოქტომბერი.

ჯ ა ნ ე ი კ ე მ პ ა რ ტ ი ა მ ი.

გასული წლის 31 დეკემბერს დასრულდა რუსეთის კომპარტიის უკანასკნელი, მე-XIV ყრილობა. ყრილობას დიდი ბრძოლა უსწრებდა წინ პოლიტიბიუროში, რამაც მოწვევა დააგვიანა.

«საიდან დაიწყო ჩვენი უთანხმოება? ის წარმოიშვა საკითხიდან: «როგორ მოვიქცეთ ამხ. ტროცკის მიმართ». ეს იყო 24 წლის დასასრულში».—ამბობს ყრილობაზე წარმოთქმულ თავის საბოლოო სიტყვაში კომპ. გენერალური მდივანი სტალინი. (ხარკოვის «კომუნისტი» №198—31 დეკ.). სტალინის მოწმობით ლენინგრაძელელებს ტროცკის პარტიიდან გაძევება მოუთხოვიათ (ლენინგრადი-ზინოვიევის ციტადელა, კ.), რასაც სტალინი და მასთან ცეკას უმრავლესობა არ დასთანხმებია. დიდი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა «დავარწმუნეთ ისინი რეზოლუციიდან ამოგვდონ პუნქტი გაძევების შესახებ» (იქვე სტალინის სიტყვა). მას შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ ლენინგრადელებს ზინოვიევი-კამენევის პირით პლენუმის სხდომაზე მოუთხოვიათ ტროცკის პოლიტიბიუროდან გაძევება. არც ამას დასთანხმებია სტალინი და კომპანია. (სტალინს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დავის რეზერვში სურია ტროცკი.) ნაწილობრივით რომ დავკმაყოფილებით ზინოვიევი, მოუხსნიათ ტროცკი ნარკომოვისის პოსტიდან.

«ცეკას შიგნით ამ პირველ (?) შეჯახებას დაეტყუა ძირითადი განსხვავება ჩვენს და მათ შორის პარტიის საორგანიზაციო საკითხებში» (სტალინის სიტყვა). ამას მოკვლეა სხვა მთელი რიგი განსხვავებათა პოლიტიკურ-ეკონომიურ სფეროში. («საერთაშორისო რევოლუცია იგვიანებს»,—«ნუპი კაპიტალიზმშია»,—«ვის დავვერდნოთ»,—«კავშირი მხოლოდ პროლეტარიატს და ბოგანო გლეხთა შორის»,—«საშიშროება „კულაკის“ და „სერდნიაკის“—„სერდნიაკს“ „კულაკს“ ვერ დაუთმობთ, ის ჩვენი უნდა იყოს» და სხვ. და სხვ.) აი ამ კითხვათა გარშემო დიდი თავის ხეთქა ქონიით მთელი წლის განმავლობაში, მაგონდება 23 წლის კრიზისი და იმავე წელში მოწვეული (შემოდგომაზე) პარტკონფერენცია... ტროცკისთვის ასალაგმავათ. იმ ხანათ მოსკოვში ვახლდით. დიდი ტყვია წამალი დაიხარჯა ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორ არ უმასპინძლდებოდენ კრებებზე, რა წერილებით არ ამკობდენ «პრავდა-იზვესტიის» ფურცლებზე ბედნავ ტროცკის! ამ ბრძოლაში ერთ უმთავრეს როლს სტალინიც თამაშობდა.

89908

რატომ აუშენდრდენ ტროცკის?

თსვის ცნობილ წიგნში მან მოაგონა ზინოვიევის ოქტომბრის გადატრიალების წინა დღეები და მისი (ზინოვიევის) სიმზღალე... ერთი სიტყვით—„ოქტომბერი“ ჩემი და ლენინის შექმნილია, ლენინი აღარ არის—მისი ტახტი მე მკუთვინისა. ასეთი რიხით დაწყებულ საქმეს რიხიანთ უნდოდა დაბოლოვება, მაგრამ რა ქნს ტროცკი, თუ ბუნებას მისთვის სათანადო გამბედაობა არ მიუცია?

მოგვხსენებათ, თუ კი ვინმეს მემკვიდრეობის რაიმე პრეტენზია აქვს, ის ადვილათ ხელს როდი შეუშვებს; აქ კი საქმე გვაქვს ცნობილ „გმირებთან“: ზინოვიევი-სტალინი-კამენევიან, რომელნიც თავიდანვე კომპარტიის დიქტატორის-ლენინის კანონიერ მემკვიდრეთ ირიცხებოდენ და ვანა პარტიის ბუშუ—ტროცკის—პირველობას დაუთმობდენ? ერთი სიტყვით, ძალაუფლებისათვის ბრძოლა დასრულდა ტროცკის სამარცხვინო კაპიტულიაციით და ტრიუმფირატის „ტრიუმფალური“ გამარჯვებით. სამთა კონსილიუმმა ის ვაგზავნა სოხუმში... კუქის კიბოს საექიმოთ...

ერთი ბრძოლა ვათავდა მეორე დაიწყო.

ზინოვიევი ამაგრებს „ოქტომბრის აკვანს“—ლენინგრადს. მოკავშირეთ იძენს კამენევის, ნარკომინ საკოალიციოვს და სხვათა შორის... ნადეჟდა კონსტანტინოვნას („ქვრივი დედოფალი“—კრუპსკაია-ლენინისა); მაგრამ სტალინი უკეთესი სტრატეგი და ტაქტიკოსი აღმოჩნდა. მან გაამაგრა ცენტრი—მოსკოვი. პრავნიციაც სათანადოთ დარაზმა (გამოადგა გენერალური მდივნობა). ყველაზე უფრო საყურადღებოა მის მიერ მძლავრათ ჩაწინლული ტროცკის მოგონება. აქ სტალინიმა დაურტყა ზინოვიევის კოზირი და ისიც ტუხის. და მართლაც—„ტუხი“ ტროცკი „დასამარებისთანავე“ უფრო პოპულარული ვახდა არა მარტო კომპარტიაში—ასე წარმოიდგინეთ ობივატელთა შო-



რისაც კი. და ეს იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლების უღელი იმდენათ აუტანჯლობს, რომ ბუნებრივთა ობიექტული ემებს კომპარტიის დამსამარებელს—სულ ერთია ვინც იქნება ის. ასეთათ იმ ხანებში ტროცკი მიიჩნია მან. მისი პოპულიარობა სტალინმაც შეამჩნია და ნელნელა, ფარულათ შემოაპარა ის მოსკოვში და დაუპირდაპირა ზინოვიევის ლაშქარს. გულისმოსაგებათ კიდევ აყნოსვია ხელის უფლება („გოსპლანის“ ხელმძღვანელათ), მარა ზომაზე, ისე რომ მადა საესებით არ გაღვიძებოდა...

როგორც ხედავთ სტალინის ლაშქარს შეადგენს მოსკოვი და თიტქმის ერთავათ მთელი პროვინცია. მოკავშირენია: მანუკენი რიკოვი (მოსკოვის დიქტატორთა «თავმჯდომარე»), კალინინი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე და სხვ. რეზერვი—ტროცკი.

ზინოვიევმა უკვე ყრილობის გახსნამდე იგემა პირველი დამარცხება. ის მოითხოვდა ყრილობის ლენინგრაღში გახსნას. ყრილობა გაიხსნა მოსკოვში და შეება ორი „დევეგმირი“ ერთმანეთს:

— რას ამბობს სახარება წმ. ლენინისა?—ხრინწიანი ხმით (უკვე გრძნობს, რომ საქმე წაგებულია) გაიძახის თავის თანამოხსენებაში ზინოვიევი.

— იმას, რაც მე ვსთქვი ჩემს მოხსენებაში,—მუშტის ქნევით უპასუხებს სტალინი.

— სტყუი... მე... მე შენი არ მეშინია... მე ზეპირათ ვიცი წმ. ლენინის სახარებათა სრული კრებული. მე, მისი პეტრე მოციქული, განუყრელათ მასთან ვიყავ; ჰკითხვთ თუ გინდათ ამხ. ნადედას...

... ბევრ კითხვებს დრო გაარკვევს, მაგრამ ამ ეამათ რომ გლგხთა საკითხთან დაკავშირებული განსხვავებათა უდიდესი პრობლემები ისახება—ეს უდაოა...—ამბობს ზინოვიევი თავის საბოლოო სიტყვაში. (მოსკოვის „იზვესტია“ № 297, 30 დეკემ.).

... „და თქვენ ფიქრობთ,—განაგრძობს ის—რომ ჩვენ, როგორც უსულა გვაგმნი, დავდუმდებით და მივიკრავთ ყველა იმ „იარლიკებს“, რომელიც სურთ ჩვენ მოგაკარან...?“—ქვემოთ:

... „ჩვენი ფორმულა ამ კითხვაში: უკან ლენინისაკენ...“ კიდევ ქვემოთ: „... საკითხი: პარტიის შიგნით დემოკრატიზმი: ეს ეხლა (!!) (ხაზი ჩემია. კ.) უნდა დაისვას და ვიმედოვნებ, რომ ჩვენ შევძლებთ მის გადაჭრას ერთხმით და შეუცდომლათ...“, რაზედაც მოლოტოვი (ცეკასა მდივანი) თავის სიტყვაში შენიშნავს ზინოვიევის: რომ აგეწვა, მაშინ მოგაგონდა დემოკრატიზმი?—მოუსმინათ ცოტა ხნით კიდევ ზინოვიევის: „მიეცეს მას (ლენინგრადის ორგანიზაციას, კ.) საშვალება თავის ხელმძღვანელების არჩევისა—ზევი დან და უნიშნავათ (ხაზი ჩემია. კ.)... „ზევიდან დაუნიშნავათ“... როგორ მოწონს ეს, მკითხველ, ზინოვიევის საკუთარ ბაგეთაგან წარმოთქმული! კიდევ ქვემოთ: „დაევალოს ცეკას ჩაბას მუშაობაში ყველა ამხანაგები, ყველა ძალები ჩვენს პარტიაში ყოფილ ყველა ჯგუფათ...“ (ხაზი ჩემია. კ.) (ხმაურობა. მოიხევენცო: „ვის ეარშიყებთ?“). და მართლაც ვის ეარშიყება დამარცხებული ზინოვიევი? ტროცკის სტალინმა უკვე უკრა თავი თავის რეზერვში. მარა, მკითხველის საყურადღებოთ: დარჩა კიდევ მოზრდილი კალიბრის ძველი ოპოზიციონერები, რომელთა ხმა ყრილობაზე ნაკლებათ ისმის (ალბათ თუ სეირნობენ. კ.) 23 წლის კონფერენციაზე კი „მძლავრათ“ უტყვდენ სტალინ-ზინოვიევის. ესეხი გახლავთ: პიატაკოვი, პრობორაენსკი, სპარონოვი, რაფალი, რადევი და კამპ... ალბათ ამითი გულის მოგება სურს ზინოვიევის. თავის გრძელ სიტყვაში, როგორც არის, აღწევს ზინოვიევი მთავარ მოთხოვნისებას: „უფლებათა განსაზღვრას პოლიტიუროს, ორგანიზაციურს და სეკრეტარიატის შორის“, და დასძენს, რომ სეკრეტარიატი პოლიტიუროს უნდა ემორჩილებოდეს. ეს სტალინის მოსათოკავათ.

„მათი პლათფორმა—სეკრეტარიატის რეფორმა. ის საერთო რამ, რაც მათ (ოპოზიციას. კ.) საესებით აერთიანებს—ეგება სეკრეტარიატი. ეს საკვირველია და სასაციოლოც, მაგრამ ეს ფაქტია...“ (სტალინის საბოლოო სიტყვა. ხარკოვის „კომუნისტი“ № 298, 31 დეკ.). ამას ჩვენ ვერავის დავანებებთ და ნურას უკაცრავათ თუ „არტიკლერიის ცეკვლს ლენინგრადისაკენ ვხსნით“—ო. და ასე ბოლომდის—იგივე ბრძოლა ძალაუფლებისათვის...

კრიზისი რომ ამ ორ „დევეგმირთა“ შორის ატეხილ ბრძოლით იწყებოდეს და სრულდებოდეს, ეს ხომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის და კომპარტიისათვის ბედნიერება იქნებოდა. მათი უბედურება ის არის, რომ კრიზისი უფრო ღრმა ხასიათისაა. მას სარჩულად უღვეს საბჭოთა სისტემის, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფრიალ სერიო-

ზული საერთო პოლიტიკურ-ეკონომიური კრიზისი, რაც მკაფიოდ და გარკვევით გამოსწვევის ყრილობაზე.

მოუსმინეთ, თუ გნებავთ, მებრძოლ მხარეებს:

„სდება ევროპის ნაწილობრივი სტაბილიზაცია“—ზინოვიევი. „სერენიაკა“ არ ვაბართლა ჩვენი იმედები (პურს არ იძლევა. კ.), ის „კულაკებისაკენ“ იწიწება და... უკან პროლეტარიატის და ბოგანო გლეხებისაკენ. ზინოვიევის ამ „უკანს“ სტალინი და კომპანია სამხედრო კომუნისმს უწოდებენ. ანგარიშში მოვსტყუვდით—ამბობენ სხვები, ველოდით, რომ გლეხები მილიარდ ფუთ პურს მოიტანდენ ჩვენს საწყობებშიო, მაგრამ.—დახე, მკითხველო, გლეხის თავხედობას! ბუხვალტერია მასაც ქონია. ანგარიში მასაც უსწავლია! გლეხმა აიღო «ჩოქი», «სალოკი თითი დაადო, გააქან-გამოაქანა“ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მას ხელს არ აძლევს ერთ ამრინ ნარმაში სამი ფუთი პური მოიტანოს სახელმწიფო მაღაზიაში (საწყობში). აჯობდა დროებით უსაცლოთ სიარული, კუნტარული ქსოვილით შეიმოსა და გადასწყვიტა დაუცადოს გაზაფხულს. თუ გაზაფხულმაც არ გაუმართლა იმედები,—იმ შემთხვევაში მას ურჩევნია „სამოგონათ“ აქციოს პური, ვინემ ზინოვიევი-სტალინს მიაბრთვას.

ვაზაფხულამდე ცდა მოსკოვის დიქტატორთათვის ხელსაყრელი არ არის: ხარჯები პურის შესაძენათ უკვე გაღებულია და მანამდე კიდევ უფრო გაიზრდება. თუ მოერიგდა გლეხს გაზაფხულზე—უნდა მას ცოტა დაუთმოს; შემდეგ ტრანსპორტ-ფრახტი. იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ ასეთ „უუჭყიან“ საქმეს თან ჰყვება მოხელეთა მხრივ „უსუჟკა-უსიპკა“. ასეთ რამეებს ხომ საბჭოთა სისტემასთან ჰიპი მიჭრილი აქვს. მსოფლიო ბაზარზე გასული ასე ნაცოდვილევი საქონელი აბა რა კონკურენციას გაუწევს კანადა-ამერიკის, ვინდ პოლონეთის პურს?!

„ნები არსებითათ კაპიტალიზმია, დაშვებული ერთგვარ პირობებში, კაპიტალიზმში, რომელიც თავის ჯაჭვებში ყავს მომწყვედელი პროლეტარულ სახელმწიფოს“... (ნადეჟდა კრუჰსკაიას სიტყვა) ... თითქმის ნები კაპიტალიზმი იყოს—ეს სისულელეა... ნები რომ კაპიტალიზმი იყოს, მაშინ ნების რუსეთი, რომელზედაც ლენინი ლაპარაკობდა, იქნებოდა რუსეთი—კაპიტალისტური და არა გარდამავალი კაპიტალიზმიდან—სოციალიზმში...

... „რატომ არ სთქვა იმ ხანათ ლენინმა მარტივათ: „რუსეთი კაპიტალისტური გარდაიქცევა სოციალისტური რუსეთათ“... „არამედ ამჯობინა მოეცა სხვა ფორმულა: „რუსეთი ნების გადაიქცევა სოციალისტური რუსეთათ. ეთანხმება თუ არა ოპოზიცია ამს. კრუჰსკაიას, რომ ნები კაპიტალიზმია?.. ამს. კრუჰსკაიამ (მაპატიოს მე მან) დიდი სისულელე სთქვა ნების შესახებ“. (სტალინის საბოლოო სიტყვა. კ.).

„ჩვენი საგარეო ვაჭრობა სწარმოებს, როგორც სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური წარმოება... ჩვენი შინაგანი სავაჭრო საზოგადოებანიც სახელმწ. კაპიტალისტური წარმოებანია. და მე უნდა ვსთქვა, ამხანაგებო, რომ სახელმწიფო ბანკიც იგივე სახელმწიფო კაპიტალისტ. წარმოებაა. ჩვენი ფულის სისტემა? ჩვენი ფულის სისტემა აგებულია იმაზე, რომ საბჭოთა მეურნეობაში, სოციალიზმის შენების დროს—აღებულია სისტემა გაქვნილი კაპიტალისტური ეკონომიკის პრინციპებით“... რა გზაა, დაუჯეროთ უნდა ნარკომფინ სოკოლნიკოვს. მარა ეს ჯიუტი სტალინი რომ არ უჯერის და ამბობს: „მაღე ის (სოკოლნიკოვი. კ.) იქამდი მივა, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატსაც „გოკაპიტალიზმით“ გამოაცხადებს“... (იქვე).

როგორც ხედავთ ორ ხეს შუა დაბნეულან და სასოწარკვეთილი გაიძახიან: „სადა ვართ“-ო.

ბრძოლა დასრულდა სტალინის „ტრიუმფით“. ტროცკი? რჩება ჯერ-ჯერობით სტალინის რეზერვში. თუ წინ წაწევა დააპირა, სტალინი ჩაკრავს მას თავში. „მხოზავი-მფრინავათ არ გამოდგება“. ფარდა დაეშვა. მაგრამ ბრძოლა გრძელდება, გრძელდება ფარდას იქით და აქეთაც და გაგრძელდება მანამ, სანამ მესამე ძალა არ მოუსწრებს. ეს მესამე ძალა განსლავთ განაწამები ხალხი. ის აღარ ხუმრობს, სერიოზულათ აპირებს განძრევას, აპირობს სთქვას თავისი სიტყვა კომპარტიის ორთავე ჯგუფის საყურადღებოთ. სიტყვა იგი—რისხვა იქნება კომპარტიის თავზე.

კანაპეტი.

ე რ ი ე ნ ტ ა გ ი ი ს ხ ა კ ი თ ხ ი .

ბ.

ქართველი ერის ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გარეშე უხეშმა ძალამ,—რუსეთმა—იარაღით გაანადგურა.

რასაკვირველია: ქართველი ერი ამ ძალადობას არ ურიგდება და თავისუფლები-სათვის იბრძვის. ბრძოლის მიზანია: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა; ორიენტაციის საკითხია: დამოუკიდებელი საქართველო. ამ ბრძოლაში დაიღვარა სისხლი. ბრძოლა მკაცრია! ასეთმა ბრძოლამ ზოგი შეაშინა. ზოგი თავისი საკუთარი ტყავისთვის იღვწის. ზოგს კი ჰგონია, რომ იგი მართლა ქართველი ხალხის გულისთვის ზრუნავს და მას ურჩევს ამ უსწორო ბრძოლაში დიდი რუსეთის წინააღმდეგ იარაღი დაჰყაროს და თავის მტერს, თავის დამპყრობელს დაემორჩილოს, ფაქტს შეურიგდეს. საბუთი სხვადასხვანაირია. პირველ საბუთს ჩვენ არითმეტკულ საბუთს დავარქმევთ. საბუთი არითმეტკული: ქართველი ხალხი მცირეა, რუსეთი-მრავალრიცხვოვანი. საქართველო პატარაა, რუსეთი დიდი. ნუ თუ ეს საბუთი მართლა საბუთობს? ნუ თუ ამ არითმეტკული «საბუთის» გამო პატარა საქართველომ თავის თავზე უარი უნდა სთქვას, თავისი ნება დამოუკიდებლობისადმი უნდა გადაიტეხოს ან გადაეყვოს?

უდავოა: რუსეთთან შედარებით საქართველო პატარაა, ძლიერ პატარაც. რას გვეუბნება ჩვენ ეს ფაქტი? გვეუბნება იმას, რომ ამ სიპატარავის გამო საქართველო დიდი რუსეთის წინაშე მუხლმოდრეკილი უნდა იქნეს და მოსკოვის მპყრობელებზე ილოცოს? საქართველო არასოდეს მრავალრიცხოვანი არ ყოფილა. ამას თუ მივუმატებთ იმ ფაქტს, რომ იგი თავის ისტორიის გრძელ მანძილზე უფრო ხშირათ დანაწილებული იყო, აშკარაა მისი მეტის-მეტის სისუსტე. თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით საქართველო მუდამ უამრავ გარეშე მტრის თავდასხმას განიცდიდა. საქართველო იყო სტრატეგიულად დაუფასებელი ზურგი მცირე აზიის ველზე, სადაც მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები სწყდებოდა. ეს კარგათ ესმოდათ თვით ქართველებსაც. «პეტრე ქართველის ცხოვრების» ავტორი ზემდიწვენითი მკვეთრი ანალიზით ამ მნიშვნელობას გვისურათებს. იბერია არის ის ქვეყანა, რომელსაც «ყოველთვის რომაელებთანა და სპარსელებთან ბრძოლა ჰქონდა იმიტომ, რომ თვითელი იმ ერისთვის, მფარველობის აღმოჩენის დროს, უფრო იმაზე ფიქრობდა, რომ მთელ ამ ქვეყანას როგორმე დაპატრონებოდა»... არ გადახდებოდა არც ერთი საერთაშორისო ომი აზიის ველზე, რომელშიც საქართველო არ ჩათრეულიყო. ქართველებს თავს ატყდებოდა ყველა ხალხთა ტალღა, რომელიც აზიის გულიდან ამოხოქრებული დასავლეთის ენთუქებოდა. ქართველები აწარმოებდნენ უსწორო ბრძოლას, მარცხდებოდნენ, მაგრამ ქედს არ იხრდნენ. არითმეტკული საბუთის მიხედვით, თავის უამრავ მტერთა წინააღმდეგ ქართველ მეფეებს ბრძოლა არ უნდა ეწარმოებიათ. მაგრამ ქართველები მაინც იბრძოდნენ. იბრძოდნენ ხან მარტოხელა, ხან ვინმეს დახმარებით, მაგრამ მაინც იბრძოდნენ. საქართველოს ყველა ის ნაწილი, რომელმაც ბრძოლაზე ხელი აიღო, საქართველოსთვის დაიკარგა. ქართველებისათვის ეროვნული ბეჭედი იყო ენა და სარწმუნოება. რელიგიის დროშა იყო ქართველობის ეროვნულ-პოლიტიკური დროშა. საქართველოს იმ ნაწილმა, რომელმაც დაკარგა თავისი ეროვნული სარწმუნოება, დაკარგა თავისი ეროვნული სახეც. საეკლავო ლაზისტანის, შავშუთ-კლარჯეთის, მესხთა ბედი! ბრძოლის უნარის მოსპობამ ისინი გადაგვარების გზაზე დააყენა. არითმეტკული საბუთი ეროვნულ ბრძოლაში ყოველად უაზრო, გამოუსადეკი და დამლუჟველია. დაპყრობილი და დაჩაგრული ერი იმიტომაც დაპყრობილი და დაჩაგრული, რომ იგი მცირეა ან სუსტია. მაგრამ ეს სიმცირე და სიმტკიცე არ აშინებდა ქართველთა წინაპრებს შეუწყვეტელ ბრძოლა ეწარმოებით და ამ ბრძოლით თავისი თავი გადაეარჩინათ. თუ სისუსტე და სიმძლავრე სწყვეტს ეროვნული თავისუფლების საკითხს,—მაშინ რაღა ეშველებოდა საბერძნეთს, სერბეთს, რუმინეთს, იტალიას, ბელგიას, პოლანდიას, ირლანდიას, პოლონეთს, ფინლანდიას და სხვებს და სხვებს, რომელნიც ძლიერი იმპერიის კლანჭებში იყვნენ გამოხუთულინი? აშკარაა, ერის სისუსტე-სიმძლავრის გარდა, არის კიდევ სხვა ფაქტორები, რომელიც ერს თავისუფლებას ანიჭებს, ანიჭებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერი თვითონაც მონაწილეობას ლებულობს თავის განთავისუფლების საქმეში, თუ ერი თვითონაც იბრძვის. მამასადამე, არითმეტკული საბუთი თავისთავ-

ვით არავითარ საბუთს არ წარმოადგენს და დამონებული ერის ბრძოლის შედეგი, მისი დამოუკიდებლობა დამოკიდებული არის თვით ამ ერის ბრძოლის უნარზე და მის გარშემო შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობაზე.

როგორი არის თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა? ხალხ უშლის იგი თუ ეხმარება საქართველოს განთავისუფლების საქმეს? გვიჩვენებს იგი თვისუფალ საქართველოს თუ გვაშორებს მას?

საერთა-შორისო მდგომარეობა დღეს ორი დიდი მოვლენით ხასიათდება. პირველი მომენტია არის მშვიდობიანობა და ზავი. მეორე:—ერთა განთავისუფლების ბრძოლა აზიაში. ერთა ლიგა ენევენია არის უდიდესი ნაყოფი, რომელიც უკანასკნელმა საერთაშორისო ომმა შვა. ერთა ლიგის გარშემო დატრიალდა ბრძოლა ორ ქვეყანას შორის: ძველი ქვეყანა ებრძვის მას, ახალი ქვეყანა იცავს მას. უდიდესი გამარჯვება, რომელიც ახალ ქვეყანას წოლად ხვდა,—მოხდა ლოკარნოში. ბრძოლა კიდევ იქნება. ლოკარნო ზავის გამარჯვების დასაწყისია, მაგრამ ისტორიის უდრეკი ტენდენცია საერთაშორისო მშვიდობიანობისაკენ მტკიცე ნაბიჯებით მიდის. სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების სასამართლოს წესით გადაწყვეტა, ზავის დაცვა, განიარაღება —ეს შორეული პერსპექტივა აღარაა; ლოკარნოს გზით დანტერესებულია უპირველეს ყოვლისა მომავალის ძალები, პროლეტარიატი, რომელიც დღესაც უკვე ევროპის დიდ სახელმწიფოებში ხელისუფლებასთან ახლო სდგას. ომის მოსპობის აუცილებლობა დღეს პრაქტიკულ საკითხათაა გადაქცეული და ამაში გამოიხატება უდიდესი გამარჯვება სოციალიზმისა, რომლის იდეური გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ ბევრ-ეუთნის პროგრესული ძალები იძულებული არიან მის მიერ ნაჩვენებ გზას აპყვეონ ომისა და ზავის საკითხში. რა თქმა უნდა, დღეს კაცობრიობა ჯერ კიდევ შორსაა ომის საფრთხის საბოლოოთ ძლევისაგან, მარა მისი შესაძლებლობა კი უთუოთ განუღებელია.

დღეს ჩვენი დამპყრობელი—რუსეთი, სდგას დიდი საკითხის წინაშე; იგი ან უნდა შესდგეს ანტიშნულ ისტორიის ხაზზე, შევიდეს ერთა ლიგაში, ან დარჩეს მის გარეთ, ე. ი. იზოლიაციაში. თუ რუსეთი ინებებს და შევა ერთა ლიგაში, მას აქ მთელი სიმშვენივით საქართველოს საკითხი დაუდგება წინ. ერთა ლიგას ვალდებულება აქვს მიღებული თავის თავზე: საქართველო მშვიდობიანი გზით ნორმალურ პირობებში ჩააყენოს. თუ რუსეთმა მოისურვა ერთა ლიგაში შესვლა,—საქართველოს საკითხისათვის ფრიად ხელსაყრელი მომენტი შეიქმნება: ერთა ლიგის წინაშე რუსეთი იძულებული იქნება საქართველოს გამო პასუხი აგოს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველმა ხალხმა გულზე ხელი დააკრიფოს და ამას უყუროს. სწორედ ამ მომენტისათვის არის საჭირო მეტი სიმტკიცის გამოჩენა, შეუთრეგბელი ბრძოლის წარმოება. ქართველმა ერმა თვით უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა თავის საკითხის გადაწყვეტაში.

მაგრამ ვიფიქროთ, რუსეთი არ შევა ერთი ლიგაში; მიუხედავად მისი ყოველმხრივი ჩამორჩენილობისა, ასეთ იზოლიაციას იგი ვერ აიტანს. რუსეთი დღესაც იძულებულია ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობა დაცავოს. ამას განსაკუთრებით მისი ეკონომიური მდგომარეობა მოითხოვს: ეძებენ სესხს, ურომლისოთაც დღევანდელ რევივს სიკვდილი მოელის. მათ სესხს არ აძლევს ის, ვისაც შეუძლია მისცეს, არ აძლევს დღევანდელ რუსეთის პირობებში, და თუ ეს პირობები ისე შეიცვალა, როგორც ეს სესხის მიმცემს სურს,—მაშინ ხომ ეს დღევანდელი რუსეთის დამხობა იქნება.

ამგვარათ: თუ რუსეთი მშვიდობიან გზით ერთა ლიგაში შესვლას შეეცადა, მას აქ ქართველი ერის ბრძოლით საქართველოს საკითხი დაუდგება წინ; თუ მან განაგრძო დღევანდელი გზით სარკული, მაშინ მას მოელის შინაური კრიზისით დაღუპვა. შესაძლებელია კიდევ ერთი რამ, როგორც ეს გაკოტრებულ ხელისუფლებას სჩვევია. შესაძლებელია, რუსეთმა მოიწადინოს აზიაში «კაპიტალისტური ფრონტის გარღვევა», შესაძლებელია, დაიწყოს მან ავანტურა სხვაგან; ამ შემთხვევაშიც მისი დაღუპვა აუცილებელია. თანამედროვე ომი პირველათ ყოვლისა ეკონომიური და ტექნიკურია. რუსეთს არ შეუძლია ასეთი ომის ატანა. როგორ ოპტიმისტურადაც არ გასაჯლოთ რუსეთის ვითარება,—არსებითათ დღევანდელ რუსეთს კარგი არ მოელის და საქართველოსთვის ასეთი მისი მდგომარეობა საიმედო და ხერხიერელია.

მეორე საბუთი, პოლიტიკური საბუთი, რომელსაც ქართველ მებრძოლ ხალხს არამკითხვ მჩრეველები უყენებენ და ეუბნებიან: ტყუილია შენი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, შენ ამ ბრძოლაში არავინ დაგეხმარება. როგორც დავინახეთ, ყალბია.

სიყალბე არის თვით ასეთი პოლიტიკური საბუთის წამოყენება. საკითხი ენება არა რომელიმე სახელმწიფოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დესანტის გადმოსხმას, — მანე არავინ ოცნებობს, — არამედ საერთაშორისო მდგომარეობას და ისტორიის გზას, რომელზეც საქართველოს განთავისუფლების პირობები მზადდება. ამ გზაზე რუსეთი განწირულია. ამ გზაზე საქართველო გაიმარჯვებს.

დასასრულ, გასახელმწიფოება თვით ერის სასიცოცხლო ინტერესებით არის გამოწვეული, ეს მისი განვითარების აუცილებლობაა, სავსებით ბუნებრივი და გარდუვალი. ამ ბუნებრივს და გარდუვალს თან ბრძოლა სდევს, ბრძოლა ეს მისი იმანენტურია. და ვინც ამ ბრძოლას უარყოფს იგი ერის მოღალატეა. იგი არ არის მარტო ოპორტუნისტი, ხერხემალ დაზიანებული, — იგი მოღალატეა.

ვეროპაში ეროვნული საკითხი უკვე გადაიჭრა. დარჩა კავკასიის ერებისა და აზია-აფრიკის ერთა ბედი გადასაწყვეტი. მაგრამ დღეს ეროვნული ტალღები ისე მალა მიდის და ისეთი სიძლიერით ენთუქება დამპრობელთა ზღუდეებს, რომ ამ ზღუდეთა დამხობა აუცილებელი ხდება. თანამედროვე უზარმაზარ ეროვნულ თავისუფლებებისთვის ბრძოლაში, რომელიც ყველგან გაცხარებულია, თურმე საქართველო არ უნდა ჩაერიოს და თავმოკატუნებულმა თავისი ბედი მოსკოვს ჩააბაროს. ერი თავის წინაშე ღალატს ვერ ჩაიდენს და საქართველოც იბრძვის — მსხვერპლის დაუზოგავათ, შეუდრეკელათ, შეურიგებლათ.

ქართველი ერის მესაიდუმლე აკაკი სწერდა: არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს... ქართველი ხალხის დღევანდელ ტიტანიურ ბრძოლას რომ მოსწრებოდა, იტყვოდა სიხარულით: არ მომკვდარა და არც სძინავს, მწარეთ იბრძვის...

და ამ ბრძოლის მიზანია — დამოუკიდებელი საქართველო.

ვიკ. ნიწაძე.

ს ა ქ ა რ თ ე კ ლ ე , რ უ ხ ე თ ი დ ა გ რ თ ა ლ ი გ ა .

ყენების გაზეთები აქვეყნებენ შემდეგ ცნობას:

საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტმა გაუგზავნა ერთა ლიგაში მთაწილე ყველა სახელმწიფოთა მთავრობების თავმჯდომარეებს შემდეგი შინაარსის წერილი:

ბატონო თავმჯდომარე!

საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტმა, რომელიც შესდგება განურჩევლათ ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკურ მიმართულებისა — იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც აერთებს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საქმე, — გაითვალისწინა, თუ რა მდგომარეობა შეიქმნებოდა საქართველოსათვის, რომ საბჭოთა რუსეთი ყოველ პირობის გარეშე დაუშვან ერთა ლიგაში, და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რუსეთის უპირობოთ დაშვების აუცილებელი შედეგი იქნებოდა საქართველოს იმ ურყვე უფლებათა გაბათილება, რომელნიც საერთაშორისო ხელშეკრულებებით არიან აღიარებული.

ამიტომ საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტს თავის მოვალეობათ მიანჩნა მოგაწოდოს თქვენ გაცანობათ რეზოლიუცია, რომელიც მან თავის უკანასკნელ სხდომაზე მიიღო. აი ამ რეზოლიუციის შინაარსი:

«საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი,

იღებს რა მხედველობაში, რომ რუსეთის მთავრობამ 1920 წელს მოაწერა ხელი საქართველოს რესპუბლიკის ხელშეკრულებას, რომლითაც იცნო მისი სრული დამოუკიდებლობა, იღებს რა მხედველობაში აგრეთვე, რომ დიდ სახელმწიფოებმაც იცნეს იურიდიულათ ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა;

აღნიშნავს რა, რომ ერთა ლიგა, სტატუტის თანახმათ, ყოველივე ახალი წევრის მიღებას უნდა უმორჩილებდეს ამ უკანასკნელისაგან რეალურ გარანტიის მოცემას თავის გულწრფელ სურვილში, რომ საერთაშორისო ვალდებულებებს აასრულებს;

აცხადებს, რომ ერთა ლიგის წევრ სახელმწიფოთა პირდაპირი მოვალეობაა, როცა რუსეთი ლიგაში დაშვებას მოითხოვს, აიძულონ იგი პატივი სცეს საკუთარ ხე-

ლისმოწერას და მასასადამე მიიღონ ლიგაში მხოლოდ სუვერენულ და დამოუკიდებელ საქართველოსთან ერთათ).

საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი დარწმუნებულია, ბატონო თავმჯდომარევე, რომ, როგორც არ უნდა გადაწყდეს ერთა ლიგის და რუსეთის ურთიერთ განწყობილების საკითხი, თქვენ საჭიროთ მიიჩნევთ დაიცვათ ქართველი ერის უფლებები, რომელმაც თავისი მრავალ ასეული წლის ისტორიის განმავლობაში ცხადპყრო განსაკვიფრებელი ენერგია და სიმტკიცე თავის დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში და რომლის მიმართ ერთა ლიგამ უკვე მრავალჯერ გამოიჩინა კეთილგანწყობილი მზრუნველობა.

მიიღეთ, ბატონო თავმჯდომარევე, ჩვენი ღრმა პატივისცემა,

საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის სახელით

თავმჯდომარე ჟან მარტენი.

კომიტეტმა მიიღო უკვე რამოდენიმე პრემიერ-მინისტრისაგან მიმართვის მიღების დადასტურება და საინტერესო პასუხები.

ხ ღ ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ი ძ რ ა ო ბ ა .

საქართველოს სოც.-დემოკრატიკა და ბოლშევის სოციალისტური პარტია. იანვრის პირველ რიცხვებში ვარშავაში შესდგა ბოლშევის სოციალისტურ პარტიის (პ. პ. ს.) მე-20 კონგრესი. მკითხველმა იცის, რომ პ. პ. ს. ერთი უძლიერესი პოლიტიკური პარტიაა ბოლშევის, მან უდიდესი როლი ითამაშა რესპუბლიკის დაარსებაში და მოწყობაში და ის დღესაც მთავრობის კოალიციაში მონაწილეობს.

მომავალ ნომერში მივაწოდებთ მკითხველს ანგარიშს ვარშავის კონგრესისას. დღეს კი გვინდა აღვნიშნოთ, თუ რა განსაკუთრებული ყურადღებით და სიმპატიით შეზღვედნ ბოლშევი ამხანაგები კონგრესზე ჩვენი პარტიის მიერ წარგზავნილ დელეგატებს, აშხ. ევგ. გეგეუკორს და იოს. სალაყაიას. ეს იყო ნამდვილი დემონსტრაცია არა მხოლოდ ჩვენი პარტიის. არამედ მთელი მებრძოლი საქართველოს სასარგებლოთ. როცა საზეიმო სწდომის გახსნისას თავმჯდომარემ უცხოელ დელეგატთა ჩამოთვლის დროს განაცხადა—«კონგრესს ესწრება გმირი ქართველი ერის წარმომადგენლები»-ო, ყველა დელეგატები, როგორც ერთი კაცი, ფეხზე წამოდგენ და ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს ჩვენს ამხანაგებს. შემდეგ, როცა აშხ. გეგეუკორი ტრიბუნაზე ავიდა მისასალმებელ სიტყვის წარმოსათქმელად, «ფორვერტის» კორესპონდენტს მოწმობთ, «კონგრესმა მჭუხარე ოვაცია უძღვნა სოციალისტურ საქმიანობის წამებულთ საქართველოში». ასეთივე სრულიად განსაკუთრებული სიმპატიით და ყურადღებით შეზღვედნ ჩვენი პარტიის წარმომადგენლებს ბანკეტზე, რომელიც პ. ს. პარტიამ უცხოელ სტუმრებს გაუმართა.

საფრანგეთის კომპარტიის რღვევა. სულ უკანასკნელ დრომდე საფრანგეთის კომპარტიის შინაგან ნგრევისა და განადგურების ჩქარ პროცესს ამხელდა მხოლოდ ოპოზიციაში მყოფი ბორის სუვარინის ჯგუფი, რომელიც კაი ხანია გარიცხულია როგორც საფრანგეთის პარტიიდან, ასე კომინტერნიდან. ესლა კი თვით საფრანგეთის კომპარტიის ცნობილი ოფიციალური მოღვაწეები 280 კაცის ხელმოწერილ წერილში კომინტერნისადმი დაღადებენ საქვეყნოთ მათი ორგანიზაცია კის საშინელ დაცემას. ეს წერილი, რომლის შინაარსს აქვე მოვიყვანთ, გაუგზავნიათ მოსკოვში მის ავტორებს ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში. მასწინე მოუთხოვიათ პარტიის ცენტრისათვის მისი გამოქვეყნება, მარა ადგილობრივ პოლიტიკურს ამაზე უარი უთქვამს. ამის გამო მას შემდეგ უთანხმოება და მუშურ ელემენტების აღშფოთება თვითმპყრობელ პოლიტიკურს წინააღმდეგ საშინლათ გაიზარდა, და კაშენებისთვის შეუძლებელი გახდა «მუშის ხალთაში დამალვა». ოპოზიციის წერილი მოთავსებულ იქნა პარტიის ოფიციალურ კურნალ: «ბოლშევიზმის რვეულება»-ში. (იხ. იანვრის ნომერი). მის ხელისმომწერთა რიცხვში შედის 11 დეპუტატი, ესე იგი საფრანგე-

თის პალატის კომუნისტურ ფრაქციის თითქმის ნახევარი; საინტერესოა, რომ ყველა ეს დეპუტატები მუშებია, 40 პროფესიულ კავშირების მოღვაწეები, ესენიც მუშები, პარტიის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტში და სხვ. და სხვ. ერთის სიტყვით, ესენი არიან საუკეთესო მუშაკები საფრანგეთის კომპარტიისა, რომელთაც კიდევ შერჩენიათ ცოტადენი კავშირი მუშათა მასასთან. სხვათა შორის ხელის მომწერთა რიცხვში არიან ცნობილი კომუნისტები: ლორიო, ამედე დიუნუა «ლ'იუმანიტე»-ს მდივანი და სხვ.

«თქვენ გეუბნებიან,—კვითხულობთ კომინტერნისადმი მიმართვაში,—რომ პარტიის ეგრეთწოდებულ «ბოლშევიზაციის» შემდეგ კომუნისტებმა მოიპოვა მძლავრი გავლენა მასებში და რომ მუშები აღფრთოვანებით იწონებენ და მისდევენ ჩვენს ლოზუნგებს. ეს ს ი ყ ა ლ ბ ე ა. ჩვენ არამც თუ წინ არ მივდივართ, ერთ ადგილზეც ვერ ვიბეჭვებით და სავსებით უკან ვივხებთ...»

«ჩვენი გავლენა შრომულ ხალხზე სრულიად ზერელეა. პარტიის ხელმძღვანელი ორგანო, რომლის «ბლეფი»-ს და დაშინების პოლიტიკა ვაკოტრდა, სცდილობს დღეს შეასუსტოს პარტიულ მუშაკების თვალში იმ ზიანის მნიშვნელობა, რომლის პასუხისგებლობა მას აწევს კისერზე»...

«ჩვენ არ შეგვიძლია მოვიყვანოთ არავითარი, თუ გინდ დაახლოვებითი ციფრი პარტიის წევრთა რაოდენობის შესახებ. სრულიად საფრანგეთის უკანასკნელ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც თითქმის მხოლოდ პარტიის მოხელეებიდან შესდგებოდა, ამ საგანის შესახებ არავითარი ცნობა არ იყო გამხეილი. ისიცაა, რომ ალბათ არავინ არ იცის საქმის ნამდვილი მდგომარეობა. ხოლო ერთი რამ აშკარაა: ეს ის, რომ პარტიის შემადგენლობა დნება, «როგორც კარაქი ცეცხლზე».

პარტიის მდგომარეობა ერთნაირად უნდუეშო ყოფილა, როგორც პარიზში და მის მიდამოებში, ისე პროვინციაში,—«უჯრედებს სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობათ და რაიონები სეულტს მგავაგონებენ; მათი მოქმედება სრულიად გარეგნულია, ხოლო გავლენა არარაობას უდრის»..

«საქარხნო უჯრედების გაკოტრება საყოველთაო ფაქტია».

ასეთი ყოფილა კომინტერნის ფრანგულ სექციის შინაგანი წყობა და ძალა. როგორი იყო მისი საქმიანობა? რას წარმოადგენდა ოქტომბრის საერთო გაფიცვა, ან მუშათა და გზხთა კონგრესები, რომელზედაც «ლ'იუმანიტე»-ს რწმუნებით მილიონები იყო წარმოდგენილი, ანდა ბრძოლა მაროკოს ომის სალიკვიდაციოთ, ან კიდევ საერთო ფრონტის კომპანია?

«... ჩვენ აშკარად ვაცხადებთ: ეს «საყოველთაო» გაფიცვა (ოქტომბრის) იყო სავალალო მარცხი, ნამდვილი დამარცხება პროლეტარიატისა და პარტიის». რამაც თურმე «ხელი არ შეუშალა პოლიტიბიურს ეცნობებია ყველგან, თითქმის მილიონზე მეტი მუშა გამოეხმაურა 12 ოქტომბერს მოქმედების კომიტეტის ლოზუნგს... თვით ჩვენს რიგებში კატასტროფული ზნეობრივი გავლენა იქონია 12 ოქტომბრის მარცხმა»...

ხელისმომწერთა დიდი უმეტესობა ყოფილა «მონაწილე ან მოწმე ცნობილ «მუშათა და გლეხთა კონგრესების»... ეს კონგრესები წარმოადგენდნ მ ხ ო ლ ო დ «ბ ლ ე ფ»-ს და ს ხ ვ ა რ ა ფ ე რ ს.

«საერთო ფრონტის» კომპანიის შესახებ კომუნისტური დოკუმენტი მოგვითხრობს: «ჩვენ დაწვილებით არ შევრჩერდებით სინდიკალურ ერთობის საკითხზე და აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს კომპანია სავსებით დამარცხდა, რის პასუხისმგებლობაც მხოლოდ და მხოლოდ პარტიისა და ს. ე. ტ. უ-ს («შომის კონფედერაციიდან» გათიშული კომუნისტური პროფ. კავშირები) ხელმძღვანელებს უნდა მიეწეროს».

ავტორები მოგვითხრობენ, რომ ისინი დიდხანს ყოყმანობდნენ, სანამ საჯაროთ გამოვიდოდნენ: «ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ფაქტების გაკვეთილები აიძულებდა ბოლოს და ბოლოს ჩვენ წინამძღოლებს უკუეგდოთ საბედისწერო მეთოდები მოქმედებისა, წვრილმანი ავტორიტარიზმი, ეგრძნოთ აუცილებლობა იმ ბოროტების გამოსწორებისა, რომელიც პარტიას ს ი კ ვ დ ი ლ ს უ ქ ა დ ი ს», მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა: მოსკოვიდან დანიშნული ლიდერები პარტიის წევრების დაუკითხავათ ბრძანებლობდნენ, კომინტერნის სახელით პარტიის მუშაკებს რიცხავდნ პარტიიდან, ვინც კი მათ წინააღმდეგ ხმას ამოიღებს, და განდიდების მანიით შეპრობილნი, აწარმოებდნ



«აუტანელ დიქტატურის» პოლიტიკას, რაიცა გულს უცრუვებს პარტიის საუკეთესო მუშაკებს.

«თუ თქვენ ნება დართეთ მათ განაგრძონ პარტიიდან ხალხის გარიცხვა,—მიმართავენ გულუბრყვილო ავტორები კომინტერნს—საყოველთაო გულგატეხილობა შეიპყრობს ყველას, ვინც კი ფიქრობს და აზროვნობს პარტიაში და ჩვენ პირდაპირ გავემართებთ სარანგეთის კომუნისტურ პარტიის სრულ ლიკვიდაციისაკენ».

სასაცილოა, რომ თითქმის გამოფხიზლებული ფრანგი კომუნისტები ხსნას ისევ მოსკოვიდან მოვლიან. თითქმის ეს გარიცხვის, დაშინების, «აუტანელი დიქტატურის» გამანადგურებელი მეთოდები მოსკოვიდან არ იყოს მოვლენილი. კომინტერნმა შეიძლება, უკეთეს შემთხვევაში, გამოსცვალოს (მერამდენჯერ?) ფრანგული სექციის ხელმძღვანელები, დააყენოს კაშენების ალაგას ლორიანები ან სუვარინები, მაგრამ ეს რამეს გამოასწორებს? განა იგივე სუვარინი არ იყო, რომ ამ ორი წლის წინეთ განუყოფლათ ბრძანებლობდა პარტიაში, რიცხავდა განუკითხავათ ურჩებს, ატარებდა იმვე «აუტანელ დიქტატურას»?

არა, კომუნისმის გარბნის, გაკატრების პროცესს ველარაფერი შეაჩერებს ვერო-პაში და კერძოთ საფრანგეთში, რადგან ის თვით აქაურ პირობების მიერ არის სასიკვდილოთ განწირული. ოდესღაც «მასიური» პარტია, ამ ორი წლის წინათ (1924 წ. იანვარი) 48,000 ჩამოვიდა; დღეს კი, სუვარინის ანგარიშით, მისი წევრთა რიცხვი 15,000 არ აღემატება. ეს რამოდენიმე ათასიც, როგორც ზევით მოყვანილი კომპეტენტური დოკუმენტი მოწმობს, გულგატეხილია პარტიაზე და გაქცევის გზას ადგას. ამავე დროს სოციალისტური პარტიის რიგები დღითი დღე მაგრდება: მის წევრთა რაოდენობამ დიდი ხანია 100,000 გადააცილა, მისი გავლენა და ზნეობრივ-პოლიტიკური ძალა კი გაცილებით მეტია, ვინც ეს რიცხვი მოწმობს. ენ არის ნამდვილი პროლეტარული ზრდის და მომავლის პარტია. კომინტერნის სექციას კი დიდი ხანია სულ ჩაუწყებოდა ხმა, რომ მას მოსკოვის ოქრო არ აძლევდეს საშუალებას ერთ ხანს კიდევ იფაფხურას და იყვიროს, თუმც მისი ფაფხური დღეს ბელუბრებსაც ვერ აშინებს.

უნგრეთის ს.-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა. რა საშინელიც არ უნდა იყოს უნგრეთში გამეფებული ფაშისტური რეჟიმი, ის მაინც უფრო მეტ მოქმედების ასპარეზს აძლევს ოპოზიციას და კერძოთ სოციალისტებს, ვინც ჩვენში გამეფებული წითელი ფაშისმი. სასტიკ დევნას განიცდის უნგრეთის სოც.-დემოკრატიის, ბევრი საუკეთესო უნგრელი ამხანაგი ემსხვერპლა ჰორტის დესპოტიურ რეჟიმს, მარა იქ პარტიას ნახევრათ ლეგალური არსებობის შესაძლებლობა მაინც აქვს. გასულ დეკემბრის დამლევს შესდგა უნგრეთის სოც.-დემოკ. პარტიის ყრილობა, რომელსაც 435 დელეგატი დაესწრო. ყრილობას, რა თქმა უნდა, ჰორტის პოლიტიკაც თავს ადგა. თვით თავმჯდომარის მაგიდასთან მუდამ არა ნაკლებ 6 პოლიტიკის ოფიცრისა ყარაულობდა!

ყველა ორატორებმა აღნიშნეს, რომ პარტიის მთლიანობა წარმოადგენს უძლიერეს იარაღს რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. პარტია ბურჟუაზიულ ოპოზიციასთან თანამშრომლობას საჭიროთ სცნობს. თანამშრომლობის წინააღმდეგ მხოლოდ რამდენიმე დელეგატი გამოვიდა.

დელეგატები გამოთქვამდენ ღრმა რწმენას, რომ უნგრეთის ხალხს რესპუბლიკანური წყობილება სწყურია. პარლამენტის წევრი პროპერი მოითხოვდა თავის სიტყვაში პოლიტიკურ უფლებების აღდგენას, პოლიტიკური საქმეებისთვის დასჯილთა განთავისუფლებას და თავისუფლათ დაბრუნების უფლებას ემიგრანტებისთვის. დამახასიათებელია, რომ ჰორტი იმავე მეთოდს ხმარობს პოლიტიკურ ემიგრანტების მიმართ, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ოკუპანტები მიმართავენ. პროპერის სიტყვით, მხოლოდ რამოდენიმე ემიგრანტს მიეცა დაბრუნების უფლება და ისიც წერილობით ჩამორთმეულ პირობით, რომ დაბრუნებული ხუთი წლის განმავლობაში ხელს იღებს ყოველივე პოლიტიკურ საქმიანობაზე, ე. ი. ს.-დ. პარტიაში მოღვაწეობაზე.

ამხ. ემერის სჩაბომ დაახასიათა ის პირობები, რომელშიც უნდებოდა ბრძოლა პარტიულ პრესას. «ნეჰსჩაეა»—პარტიის ოფიციალური ორგანო, შეუწყვეტელ დევნას განიცდის. აქ ჟამათ რეაქციის 4 წევრი ციხეში ზის. გასული წლის განმავლობაში განეთს 146 სასამართლოს პროცესი ჰქონია! მაგრამ ყველა ამან ვერ შესძლო მისი გავლენა.

ნა შეემცირებია მუშებში. იმ 150 მილიონი კრანის დასაფარავათ, რომლითაც განვით დააჯარიმეს. მუშებმა ორჯერ მეტი თანხა შემოიტანეს.

არჩეულ იქნა საპროგრამო კომისია, რომელმაც უნდა შეიქმნათ პარტიის პროგრამის ახალი პროექტი. ყრილობას დაესწრნენ უცხოელ პარტიათა წარმომადგენელი, რომელთაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ უნგრელ ამხანაგების (სამოი, ბასი და სხვ.) საფლავი მიხვალეს და ყვავილებით და გვირგვინებით შეამკეს.

სოციალ-დემოკრატ ქალთა კონგრესი, რომელიც იმავე დროს სწარმოებდა, დასაწყისშივე შეწყვეტილ იქნა პოლიციის განკარგულებით.

მუშათა მოძრაობა იაპონიაში. იაპონიის კაპიტალისტურ ქვეყანათ გადაქცევას მოყვა მუშათა მოძრაობის აღორძინება ამ ამომავალი მზის ქვეყანაში. მარეს მოძრაობა უსასტიკეს დევნას განიცდიდა. 1887 წლიდან დაწყებული სოციალისტური პროპაგანდა, და მის შედეგათ დაარსებული სოციალისტური პარტია 1900—1904 წლებში, რუსეთ-იაპონიის ომის და მის შემდეგ გამეფებულ რეაქციის წყალობით დაინგრა. ამას ხელი შეუწყო რეპრესიებით გაბოროტებულ მუშათა წრეებში ანარქისტულ სულისკვეთების გაძლიერებამ. 1910 წლიდან პარტია ფაქტიურათ აღარ არსებობდა და მხოლოდ დიდი ომის შემდეგ, უკვე 1920 წელში განახლდა ცდა სოციალისტ. პარტიის დაარსების. მარა პოლიციამ პარტია აკრძალა და მის მაგიერ ინიციატივებმა შექმნეს მხოლოდ «სოციალიზმის შესასწავლი საზოგადოებები». მათ განაგრძეს ძველიდანვე დაწყებული მუშათა ევროპის სოციალისტურ წიგნების თარგმნის და გამოცემის («კომ. მანიფესტი» გამოვიდა 1897 წ.).

რამდენიმე წლის ენერგიული მუშაობის შემდეგ, რასაც ხელს უწყობდა თვით იაპონიის უნივერსიტეტის პროფესორთა შორის «კათედრ სოციალისტების» გაჩენა, იაპონიაში კვლავ განახლდა ცდა მუშათა პარტიის დაარსების. დაარსებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ 1925 წ. ზაფხულში იაპონიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც მამაკაცებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას ანიჭებს. ახალი არჩევნებისთვის მოსამზადებლათ, რომელსაც ამა წლის ზაფხულისთვის მოელიან, მუშათა მოღვაწეები შეეცადნენ მუშათა პოლიტიკურ პარტიის დაარსებას. თათნობა აიღო «გლეხთა კავშირმა», მას მხარი დაუჭირეს სამეცნიერო სოციალისტურმა ჯგუფებმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა. შეიქმნა მხადება, შეიმუშავეს კიდევ პროგრამა, იაპონელი მოწინავე მუშები ალტაცებით მოელოდნენ საქმის სისრულეში მოყვანას. მაგრამ გასული წლის ნოემბერში, დამფუძნებელ სხდომის წინ, იაპონიის უძლიერესმა მუშათა ორგანიზაციამ, «საყოველთაო პროფესიულმა კავშირმა», განაცხადა, რომ ის უარს ამბობს პარტიის დაარსებაში მონაწილეობაზე. ამ უარის მთავარი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ დამარსებელ კომისიაში შეეჩხირნენ კომუნისტები, რომელთაც ახლა ძველი ანარქისტების ადგილი დაიჭირეს იაპონიის მუშათა მოძრაობაში. მათთან საქმის დაჭერა არ სურს ამ უგაგლენიანეს მუშათა ორგანიზაციას. მწარე გამოცდილებამ დაარწმუნა ის, რომ კომუნისტები უდიდესი მტრები არიან მუშათა ერთობის. რა აზრი აქვს მთლიან ორგანიზაციის დაარსებას—ამბობენ მუშათა ხელმძღვანელები—როცა საშოშივე უნდა ატაროს მან სახვალთა გათიშვის აუცილებლობა. ან როგორ შეიძლება მთლიანი მუშათა პარტია არსებობდეს მხოლოდ იაპონიაში, მაშინ როდესაც ყველა სხვა ქვეყნებში კომუნისტები განცალკევებულ ჯგუფს წარმოადგენენ. «საყოველთაო პროფესიულ კავშირის» აზრს მოემხრო სხვა მონათესავე მუშათა ორგანიზაციები და დასტურეს «დამარსებელი კომისია». მაშინ კომუნისტებმა და მოკომუნისტო ელემენტებმა, მაინც სცადეს მისი დამთავრება და «მუშათა და გლეხთა» პარტიის დაარსება, მაგრამ ამას ხელი შეუშალა პოლიციამ: ახალი ორგანიზაცია აკრძალულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებით.

«საყოველთაო პროფესიული კავშირი» კი, უკანასკნელი ცნობით, მონათესავე ორგანიზაციების მონაწილეობით შეუდგა პოლიტიკურ მუშათა პარტიის დაარსებას, სადაც შეერთებულ იქნებიან ყველა მუშათა ორგანიზაციები და ძალები, გარდა კომუნისტებისა.

რა ნახვს დანიის დელეგატებმა რუსეთში და საქართველოში?

მრავალ დელეგაციებ შორის, რომელნიც მოსკოვის ბატონებს დაყავს რუსეთში თავის ნამუშევარის საჩვენებლათ, დანიის დელეგაციას განსაკუთრებული ადგილი უკირავს. უკანასკნელი არ მალავს ბევრ იმას, რაც ნახა და გაიგონა.

ეს დელეგაცია შესდგებოდა 18 წევრისაგან, რომელთაგან 4 კომუნისტი იყო ხოლო დანარჩენები პროფ. კავშირებში მომუშავე ს.-დ.—ტები, უმეტესათ ბოლშევიკებთან კეთილგანწყობილინი.

ინტერვიუში, რომელიც ამ დელეგაციის მონაწილეებმა ბრუნუნმა (ჩამომსხმელ მუშაბა კავშირის თავმჯდომარე) და იაკობსენმა (გემის «კაჩეგართა» კავშ. თავმჯდ.) მისცეს კოპენჰაგენის გაზეთებს, საკმაო გულახდილათ არის მოხსენებული რუსეთში შემჩნეული ნაკლულევანებანი.

«წარმოებას რაც შეეხება, ამბობენ დელეგატები. უნდა ითქვას, რომ სადაც ახალი მანქანებია დადგმული, მუშაობა კარგათ წარმოებს. მარა რუსეთში ახალი მანქანები ყველგან აკლიათ. ჩვენ ვნახეთ ხის სახნისები, ხოლო ცხენისა ან ხარების მაგიერ შიგ აქლემებია შებმული». შრომის ხელდასი უსწორმასწოროა, 20-დან 200 მანეთამდე აღის თვეში, უმუშევრობა მივინვარებს ყველგან, მარტო მოსკოვში 150,000 უმუშევარია.» დელეგატებს არ გამოპარვია მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები, რომელნიც დანიის მუშებში მხოლოდ დაწუნებას გამოიწვევს: ასეთია მაგ. ქალების მუშაობა მიძიმე დარგებში (მუედლობა, ქვის ტეხა და სხვ.), საშინლათ გავრცელებული მათხოვრობა, მაწაწალათა დაუსრულებელი ჯარი, საერთოთ მასისური სილატაკე ერთ მუქა მდიდრების უსაზღვრო ფუფუნების და განცხრომის გვერდით.

კულტურულ მუშაობის დარგში დელეგატები აღნიშნავენ გამოჩენილ ენერგიას, მარა მუშაობის შინაარსს არ იზიარებენ: «მუშათა კლუბში ანბანის გვერდით გავრულია სამხედრო სააგიტაციო სურათები, ჯარის აღლუმები, თოდის ნაწილები და სხვ.»

არც პოლიტიკური წყობილების ნამდვილი არსების გაგება გაჭირვებით დანიის დელეგატებს. ორივე დელეგატმა ერთხმათ განაცხადა: «ძალიან ცდება, ვისაც რუსეთი თავისუფალი ქვეყანა გონია: საარჩევნო უფლება ორსართულიანი და რთულია, ისე რომ დანიის მუშები, თავისუფალ დაწესებულებებს შეჩვეულნი, მას ვერ შეურიგდებიან. კომუნისტური პარტია 800,000 წევრისგან შესდგება და ფაქტიურათ ნამდვილი ბატონ-პატრონია ცხოვრების მრავალ დარგში. საუკეთესო ადგილის მიღება თუ გსურს, პირველი პირობაა ამ პარტიის წევრობა.

—«თფილისში, განაგრძობენ დელეგატები, ჩვენ დავათვალიერეთ ცენტრალური სატუსალო. ეს ჩვენთვის მეტათ საინტერესო იყო. საპყრობილე მოთავსებულია ძველ ციხეში (მეტეხი), ტუსალები 20—30 არიან ერთ ოთახში მოთავსებული. როცა ჩვენ მივედით, ზოგიერთები თთუთხს სწევდენ, კითხულობდენ ან ეძინათ. ერთ კამერაში ვნახეთ სამი სოციალისტი, რომელთაც სიკვდილით დასჯა ქონდათ გადაწყვეტილი, მარა შეუცვალეს 10 წლის მიძიმე მუშაობით. ჩვენ მივიღეთ ნებართვა მათთან დალაპარაკების თარჯიმანის საშუალებით. მათ გავიცხადეს, რომ განთავისუფლების პირობათ მათ მოსთხოვეს კომუნისტების წინააღმდეგ აგიტაციანე ხელის აღება. მეორე ადგილას ჩვენ შევხვდით ახალგაზდა, გატაკებულ სოციალისტს: ანტი-კომუნისტური აგიტაციისთვის მას ერთი წლის ციხე ქონდა მიხკილი. მან გვითხრა: გადაეციეთ სალამი დანიის მუშებს და უთხარით მათ, რომ ჩვენში სოციალისტებს არ ინდობენ: ან ციხეში სვამენ, ან ხოცავენ. როცა ციხის უფროსმა კითხა, განა ახლა, ბოლშევიკების დროს, უკეთესი პირობები არაა ციხეში, ვინემ მეფის დროს, მან უპასუხა: ციხეში შეიძლება თქვა, რაც გინდა, გარეთ კი არაა.»

თუ რა სწორ ცნობებს აწვდიან რუსეთის ხალხს კომუნისტები უცხოეთის შესახებ, ამის დასასურათებლათ დელეგატებს მოყავთ ერთი კურიოზი:

ერთ კრების თავმჯდომარე—მისალმების სიტყვაში გატაკებით უხსნიდა მათ წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის შედეგებს, და სიტყვა ასე დააბოლოვა: «წადით დანიაში, მოახდინეთ იქ რევოლიუცია და მაშინ თქვენი გლეხები და მუშებიც ისწავლიან წერა-კითხვას». დანიაში კი ურევოლიუციოთაც წერა-კითხვის უცოდინარს სანთლით ვერ მოსძებნი.

«ჩვენ სოციალ-დემოკრატებთან წავედით რუსეთში და კომუნისტებთან არ დავბრუნებულვართ. ძალიან პატივისცემითაა ის კულტურული მუშაობა, რომელიც სწარმოებს რუსეთში, მარა მაინც ბევრი რამ არის ისეთი, რაც სრულიად უარყოფით/დამოკიდებულებას იწვევს დემოკრატიულ ქვეყნის მოქალაქეში, არ ქონა სიტყვის და პრესის თავისუფლების, გაღმერთება ლენინის, ქარხნები, რომელთაც ჯარი იცავს და სხვ.»

ასეთი განცხადების შემდეგ ოთხი კომუნისტისთვისაც უხერხული დარჩა საბჭოთა სამოთხის დიდი ქება: მათ მხოლოდ ყრუთ სიტყვეს, რომ «რუსეთი უკეთესი აღმოჩნდა, ვინც გვეგონა.»

ბოლოს და ბოლოს, სჩანს დელეგაციების ჩაყვანასაც აღარ მოაქვს სასურველი ნაყოფი კრემლის ბატონთათვის.

დ ა თ ი კ ვ დ ვ ა ლ ი

თბილისის მუშათა უბანში, ნაძალადევში, ვის არ უნახავს, მუდამ მოღიშარი სახით, ოდნავ შექმუხენილი მაღალი შუბლით, ენერგიული, გონიერი, გამომეტყველი თვალეზით, მუდამ საქმიანი სახელოსნოების მუშა, რომელიც მუდამ მოძრაობაშია, მუდამ საზოგადო საქმეში ჩაბმული, მუშათა კლასის განვითარებაზე მზრუნავი, წელი და მტკიცე, როგორც რაჭველი, დაუხარბებელი და დაუღალავი; ეს იყო დათიკო დვალი. ეს იყო მუშა ინტელიგენტი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მუშა-ორგანიზატორი, შეგნებული და წინდახედული პარტიული მოღვაწე, ერთი პირველ პიონერთაგანი თბილისის მუშათა მოძრაობის.

დათიკო დვალი... რომელი მუშა არ იცნობს მის სახელს? თვით ბოლშევიკები ისტორიულ მოგონებებში მის სახელს მოწიწებით იხსენიებენ, როგორც პირველ რევოლიუციონერს, და ჩეკა კი ამავე დროს თავის უსაზღვრო ბოროტებით მას ტყვიით უგმირავეს გულს, როგორც საშიშს საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

სიმბოლიურია და საბედისწერო ეს ჩეკის დიქტატორთა რეჟიმისათვის.

ბიოგრაფია დათიკო დვალის გენბავთ?

ეს ასე ადვილათ არ დამიწერება. იგი ჩანასკველია თბილისის და მით მთელი საქართველოს მუშათა მოძრაობასთან... მას არ ქონია თითქმის პირადი ცხოვრება, ის იყო ერთიანათ თავგადადებული პარტიისთვის. ის ეწირებოდა ზვარაკათ იმ დიდ საქმეს, რომელსაც მუშათა განთავისუფლება ეწოდება. მეოთხმოცდაათე წლების მიწურულში ის უკვე სოციალ-დემოკრატია, მისი პირველი წრეების წევრია, რომელიც რკინის-გზის სახელოსნოებში დაარსდა. როცა პირველი საჯარო მანიფესტაცია გაიმართა თბილისში 1901 წელს, იგი მასში მონაწილეობის იღებდა. შემდეგ ციხე, ბრძოლა, გადასახლება, დაბრუნება, ისევ ბრძოლა მუშათა რიგებში, ისევ რეპრესიები, სასამართლო, ციმბირი, და ასე რევოლიუციის დღეებამდე. ის გატაცებული მუშაობდა მუდამ, ერთხელაც არ შეჩერებულა, ერთხელაც არ დაუსვენია, თუ არა ციხეში. თბილისში იყო და ყველა ძნელ და საპასუხისმგებლო საქმეს ასრულებდა, აღსანიშნავია, რომ უსასტიკეს რეაქციის დროსაც, როცა ბევრი მოწინავე მუშა ძალაუნებურათ გაჩერებული იყო ან ლეგალურ მუშაობის ფარგლებით იზღუდავდა თავის მოქმედების ასპარეზს, დათიკო დვალი უდრეკათ იდგა არალეგალურ მუშათა რიგებში და ახალგაზდა მუშებს თავის გამოცდილი ხელით უკვლევდა გზას მიიმე და ძნელ პარტიულ მუშაობის ასრულებაში.

იშვიათი ადამიანი იყო დათიკო დვალი. თავის საქმეს ის ჩუმით, დამშვიდებით აკეთებდა. არც რეაქციას მოუდუნებია, არც რევოლიუციის ბოძოქარ ტალღებს გაუტაცებია. ერთნაირი სიდინჯით, მე ვიტყვადი, რაჭული სიდინჯით ასრულებდა თავის საქმეს მაშინაც და ახლაც, შავ დღეებშიც და მოელვარე წითელ დროშების ფრიალის დროსაც.

მინახავს ის მუშაობაში, წყნარი მშვიდი, მუყაითი, გონიერი. ორატორობა მისი ხელობა არ იყო, მარა ორგანიზატორობაში ტოლი არ ყავდა. მინახავს ციხეში, აქაც დამშვიდებული იყო, თავის ხვედრი არ აშინებდა. თვალეზში იმედის ცეცხლი უკრთოდა და მხოლოდ ახალი ცოდნის შექმნაზე ფიქრობდა: მომავალ მუშაობაში გამო-

მადგებოა. შევხვდი მას ციმბირში (ირკუტსკში) ღირსება აყრილს, ერთ პატარა სახე-
ლოსნოში მუშაობდა. მძიმე შრომის შემდეგ რომ დაბრუნდებოდა, ისევ სწავლის შე-
ძენას შეუდგებოდა. ჩვენი ინტელიგენციის მაგიერობა უნდა მუშებმა გასწიონ, უნდა
მათოდენი ცოდნა შეიძინონ, უამისოთ მუშათა მოძრაობის საქმე მკვიდრ ნიადაგზე
ვერ დადგებოა, ხშირათ იტყუარ ხალმე. მძიმე პირობებს უჩიოდა მხოლოდ იმისთვის,
რომ მეცადინეობას მიშლიო.

ბინათ ცხოვრობდა ბენია ჩხიკვიშვილთან. ერთი ოთახი ეჭირათ, ორათ გამტი-
ხრული ფიცრულით; ბენია ცოლშვილიანი იყო, იგიც ცოლიანა ცხოვრობდა, მარა რა
ძმური დამოკიდებულება, რა ტკბილი ამხანაგობა ქონდათ! ყველასათვის სანიმუშოთ
ითვლებოდა მათი მეგობრობა. იქიდან ის რევოლიუციამ დაუბრუნა თავის ნაძალა-
დევს. რევოლიუციის ხანაში მის მუშაობაზე არას ვიტყვი. არც ერთი მუშათა ორგანი-
ზაცია არ ყოფილა, რომ მას შიგ მონაწილეობა არ მიეღოს...

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, ის ახალ განმთავისუფლებელ ბრძოლის
მორიგ ამოცანას, დიდ ამოცანას, ისეთივე თავდადებით შეუდგა, როგორც წინათ თვით-
მპყრობელობასთან ბრძოლას აწარმოებდა. მთელი ოთხი წელიწადი იმუშავა ლეგალუ-
რათ თუ ფარულათ. აქაც ციხე და წამება ხვდა წილათ წითელ თვიმპყრობელთაგან.

ავგისტოს აჯანყების დღეებში ჩეკისტებმა იხელთეს დრო და ეს საუკეთესო
მუშა-რევოლიუციონერი სიცოცხლეს გამოასალმეს.

და როცა ამის შემდეგ, სისხლით დამთვრალი კომუნისტების მეთაური ერთ
კრებაზე აჯანყებულთ კონტრ-რევოლიუციონერებათ ნათლადვენ, სცენაზე გამოდის
მისი ცოლი, ღირსეული მეუღლე ღირსეული ქმრის და მთელი ხალხის წინაშე საჯა-
როთ პირში ახლის მტარვალებს: «რათ მოკალით ჩემი ქმარი, დათიკო დვალი, მუშა,
რევოლიუციონერი, სოციალისტი, განა ის თავადი იყო და კონტრევოლიუციონერი?»

ჯალათებს პირში ენა ჩაუვარდათ... მარა მის სისხლს ვერ გამოისყიდია ჩეკის
ბოროტმომქმენდი. საქართველოს მუშათა კლასი არ დაიციწყებს თავის დათიკოს!
თფილისის პროლეტარიატი მის საფლავს შეამკობს გამარჯვების ყამს. მისი სახელი
კი შემოსილია წამებულის ბრწყინვალე შარავანდედით.

ამხანაგი.

ა ლ ფ ე ს ი გ ო გ უ ა ძ ე

ორი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოში კარგად ცნობილი გმი-
რი, ალფესი გოგუაძე, ლარულათ მოკლეს მის და ქართველი ერის ლაჩარმა მტრებმა.
ჩვენ გვინდა მოვაგონოთ მკითხველს ალფესის ცხოვრება და მისი მოკვლის ამბავი.

ალფესი დაიბადა 1885 წელს გურიაში, სოფ. ჰანჭათში. ის სოფლის მუშაკაცის
შვილი იყო და ორკლასიანი სკოლის დასრულების შემდეგ თვითონაც სოფლის მე-
შაობას მოკიდა ხელი. ბავშობიდანვე რევოლიუციონურ ბრძოლაში ჩაება. 1904 წლი-
დან სოც.-დემ. პარტიის წევრი იყო. პირველათ იარალით ხელში ბრძოლა გადახდა
«ნასაკირალზე», 1905 წელს. ამავე წელს ალფესი გაიწვიეს ჯარის კაცათ. «რუსის სალ-
დათობა» მან გაიარა საარტილერიო ნაწილში. ომშიც მონაწილეობის მიღება მოუხდა
როგორც არტილერისტს: ვიკაცობისა და ბრძოლის განსაკუთრებული უნარისათვის
ის დაჯილდოვებულ იყო ჯარისკაცისთვის უმაღლესი ჯილდოებით; აქ შემენილი
გამოცდილება გამოიყენა მან შემდეგ ასე სასახელოთ თავის ქვეყნის თავისუფლებისა-
თვის ბრძოლაში.

1917 წლის დასასრულს ფრონტიდან მოზღვავებული რუსის ჯარი თფილისს და
საქართველოს წალეკვით ემუქრებოდა და ალფესი ომიდან ახალ დაბრუნებული მისი
უფროსი ძმის, ვალდიას, დაძახილზე პირველათ მაშინ გადის საქართველოს სადარა-
ჯოზე. 1918 წელს ის ჯავშნოსან მატარებელ № 4-ის უფროსათ ინიშნება. მას შემდეგ
ალფესის აღარ დაკლებია არც ერთი ბრძოლა, რაც კი საქართველომ გადაიხდა თავი-
სი არსებობის შესანარჩუნებლათ. მისი თანამებრძოლი მასში ხელდავენი ნიჟიერ და
საყვარელ ხელმძღვანელს, თავდადებულს სამშობლოსათვის და მის გარშემო ერთგუ-
ლათ ირანებებიან... ალფესი იყო მდიდარი ბუნების ადამიანი: მაღალი სულის პატრონი,
შეუპოვარი გულადობის, დარბაისელი, ვითარცა კეთილშობილი რაინდი. ამიტომაც
ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ფრონტიდან დაბრუნებულ რუსეთის ბრძოების გაცილება ამიერ-კავკასიიდან,

განზრწნილი ჯარის ნაწილების ალაგმვა სხვადასხვა კუთხეებში, ბრძოლები ოსმალეთის წინააღმდეგ ბათუმის გარშემო, ომი სომხეთთან და გაწითლებულ ადერბეიჯანთან, დაბოლოს ბოლშევიკების შემოსევის დროს მისი სახელოვანი საომარი მოქმედება სალოღოში, კარურპაში, ნავთლუღში, მცხეთაში, ხაშურში, ქუთაისში და უკანასკნელათ საჯევახოში. აი ქრონოლოგიურათ ჩამოთვლა იმ ბრძოლების, რითაც ალფესიმ სახალხო გმირის სახელი მოიხვეჭა.

მან არ იცოდა ყოყმანი გადაწყვეტ წუთში, არ შეუდრკებოდა არავითარ საფრთხეს, რაგინდ დიდი ყოფილიყო ის.

მას ღრმად, აღფრთოვანებით სწამდა და უყვარდა თავისუფალი საქართველო, რომლის კეთილდღეობისათვის ყოველ წამს მზათ იყო თავი გაეწირა...

ალფესიმ საზღვარგარეთ წასვლა არ ისურვა მტრის შემოსვლის შემდეგაც და თავის სამშობლო გურიიში დარჩა. თქმა არ უნდა, პირველ დღიდანვე მას არალეგალურათ უნდა ეცხოვრა. ხელი მიჰყო მისთვის ჩვეული ენერგიით მუშაობას პარტიკაში, ახალგაზდობაში, ხალხში; ღია ბრძოლების გმირმა ამ მუშაობაშიც დიდი უნარი და ტაქტი გამოიჩინა.

პროფესიონალურ მკვლევლებმა კარგათ იციან მსხვერპლის ამორჩევა. ბოლშევიკებმა იცოდნენ, თუ რა დაუძინებელი და საშიში მტერი ყავდათ ალფესის სახით და თავიდანვე სრულიად განსაკუთრებული ზომები მიიღეს მის წინააღმდეგ. სხვათა შორის ოჯახი გაუნადგურეს, ძმები დაუტყვევეს და მძევლებათ ყავდათ. დიდხანს უმედვე იყო მათი ზომები, მაგრამ დაბოლოს მაინც საწადელს მიაღწიეს.

ალფესის ცოლი და ბავშვი ავით გაუხდა. გულმა ვერ მოუთმინა მათი უნახაობა, მტერი კი დადარაჯებული იყო. დამე მოახდინეს ნახევარი გურიის კომუნისტების მობილიზაცია. თემში ყველა შარა-გზა თუ ბილიკი, სასტიკათ შეკრეს. ალფესი მართლა მიემართება სახლისაკენ. ჩასადრებულნი მას თვალს არ აშორებენ, მაგრამ თავისუფალ გზას აძლევენ, აღარ ეჩქარებთ, თან შიზობენ. დამეა და ვაი თუ ხელიდან გავეისხლტესო. ვაჭრენ ვარსკვლავები, ეზოს რიყრაყის შუქი შემოეპარა. ასზე მეტი კომუნისტის გული მღელვარებით სცემს: მოახერხებენ თუ არა სამუდამოდ მოიცილონ თავიდან ეს საშინელი მტერი, თუ ხელიდან გაუსხლტებათ და მაშინ... ალფესის გულიც ატოკდა— თენდება, დადგა ავთომყოფ ცოლ-შვილის განშორების დრო.

სოფლის მეორე კუთხეში სროლა ატყდა... ალფესი წამსვე ფანჯარას მიაშურებს და ეზოში გადაისვ. მაგრამ სროლა ეხლა აქ ჩაღდება და ტყვია წვიმასაებრ მოდის. დაპრილი ალფესი ერთს ლომივით შეევირებს და გარბის: ავთომყოფ ცოლშვილის წივილ-კივილი ზეცას წვდება. ალფესი არღვევს ჩასადრებულთა პირველ წრეს, მეორეს... დაპრილი ნახევარი ვერსის მანძილს გაივლის, მაგრამ წინ აღმართია. უკვე რამოდენიმე პრილობა აქვს... მოასწრებს ქედის გადავლას?! ქედს ტყე მოსდევს და თუ მას წიაღწია, ვინც იცის...

სოფელი კენესის. გოდებს, თავის კერასთან იკრუნჩხება. «უეყველია ბიჭს დაეცენ თავს!»—ჩურჩულებენ შემეფოთებული გლეხები.

აღმართი მიიწურა... გზა და დარჩა გადასარბენი და შემდეგ ტყეა, ტყე... «ბუჰ» იგრილა თოფებმა ახალი საფრებიდან... ტყვია მოხვდა შუბლში და უსულოთ დასცა ძირს გმირი...

ამ განსაცდელის უამსაც არ დავიწყებია მას საქმე. კომუნისტებმა მას კბილებში რალაც დაღქილი ქალადი უპოვეს. ბევრი ეწვალენ მის წაქითვას, მაგრამ ვერ შესძლეს...

მკვლევლებმა მისი სასაფლაოზე დაკრძალვის ნებაც კი არ დართეს, დაასაფლავეს იქვე, საცა მოკლეს. ასე გამოასალმეს წუთისოფელს ქართველი ხალხის საუკეთესო მებრძოლი, მისი ღვიძლი შვილი, მისთვის თავდადებული გმირი. უდიდესია მისი ამაგი თავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს წინაშე. ვინ იცის—კიდევ რა როლს ითამაშებდა ის მომავალ ბრძოლებში. ქართველი ხალხი გულში ჩაინერგავს თავისი ღირსეული შვილის ხსოვნას და არასოდეს დაივიწყებს მის თავდადებას.

კომუნისტებს დროებით შეუძლიათ იზიემონ. მაგრამ დაღუპული სახალხო გმირის, ალფესის, ალაგსაც ათასი სხვა გამოჩნდა უკვე და გამოჩნდება კიდევ, დატყვევებული საქართველო დაიხსნის თავს და ალფესის წმიდა საფლავს და ხსოვნას სიყვარულით და მოკრძალებით მიესალმება.

ქ ა მ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს და მ ი ს მ ი მ დ ე ვ ა რ თ ა ხ ა პ ა ხ უ ს ე თ .

ო დ ე ნ კ უ რ ი ს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციის კრება, რომელიც მოხდა კვირას 17 იანვარს და რომელსაც დაესწრო 36 წევრი, გაეცნო რა ქამანაშვილის და მის ამხანაგების მომართვას და აგრეთვე პასუხს პარიზის ორგანიზაციისა ამ მომართვაზე, ინაწილებს სავსებით პასუხში გამოთქმულ აზრებს ერთნმით და საპირობო მიიჩნია დასძინოს შემდეგი:

სწოთეთ იმ დროს, როდესაც ბოლშევიკები თვითონ საკუთარი ხელით აძლევენ თავიანთ თავს სილატაკის მოწმობას, როდესაც ისინი საჯარო იწყებლავენ თავს, როდესაც თავიანთ კონგრესებზე, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, გამოდიან სრულიათ ტიტველნი და საპირობათ არ მიანჩიათ ლეღვის ფოთლით მაინც დაფარონ თავიანთ სიშიშველე, როდესაც მათი სრული იდეიური გაკორტება არავისათვის დაფართული არ არის, აი სწორეთ ამ დროს ქამანაშვილი და ქმანი მათნი გამოდიან მათ აზოლოგეტებათ, მათ სადიღებლათ და მუხლ მოდრეკით გუნდრუქს უკმევენ მათ და მერე სად? საჯაროთ, გაშლილ მოედანზე, ყველას გასაგონათ და დასაანახავათ.

ქამანაშვილი და მისი თფილი კამპანია ვერ გრძნობს, რომ ძველი ასირიული სიტყვები: «მენე, ტეველ, ფარეს» უკვე დაწერილია ბოლშევიკურ ტაძრის კედლებზე და მის მოსყიდულ თუ წრფელ დამცველებს არ ძალუძთ გადარჩენა ამ განწირულ წარმართ ტაძრისა. მათ შეუძლიათ კიდევ ერთ ხანს მართონ იქ ბალტახარის წვიმი, მაგრამ დღენი მათნი დათვლილია. ბორბალი დატრიალებულია და მის შეჩერებას ამაოთ ცდილობენ ბ.ბ. ქამანაშვილები.

ორგანიზაციის მონდობილობით: ს. მათითაიშვილი, თ. მუხაშარი, შ. ქურიძე, ა. ხომერტიკი, ვ. მარჯანაძე.

პ რ ა ლ ი ს საქ. ს.-დ. მ. პარტიის ორგანიზაცია გვაუწყებს, რომ ის ერთნმით უერთდება «ბრძოლა»-ს მეექვსე №-ში გამოქვეყნებულ პასუხს პარიზის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციისას ქამანაშვილის და მის მიმდევართა მომართვაზე.

ამ ცნობას პრალის ორგანიზაციის სახელით ხელს აწერენ: გ. აილო და ლ. ქედენტი.

ბ ე რ ლ ი ნ ი ს ორგანიზაციაც შეუერთდა ამ პასუხს, რასაც მისი სახელით გვაცნობებენ ამნ.: დ. საღირაშვილი, დ. ბერძენიშვილი და ალ. ფაჩულია.

ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა უ ც ხ ო ე თ ი ო .

ა კ ა კ ი ს სა ლ ა მ ო პ ა რ ი ზ შ ი . ქართულ კოლონიის გამგეობის თაოსნობით 16 იანვარს გაიმართა პარიზში სალიტერატურო და მუსიკალური სალამო აკაკი წერეთლის გარდაცვალების მე-10 წლისთავის აღსანიშნავათ. სალამო გახსნა მოკლე სიტყვით კოლონიის თავმჯდომარემ. ბ. დავ. სხირტლაძემ. ბ. შალვა ამირეჯიბმა ნაზი ფერადებით დაასურათა აკაკის შემოქმედების მთავარი თვისებები. მშვენივრათ წაიკითხა «დათვის წვეულება» ციციშვილის პატარა ქალმა, რაც საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა. მხურვალე ტაშით დააჯილდოვა აუდიტორიამ აგრეთვე ს. ბერეჟიანის დეკლამაცია.

მუსიკალურ-ვოკალურ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ქ-ნ პაპუაშვილმა, ბ.ბ. ორბელიანმა და ანდრონიკაშვილმა (როიალი), მ. ხუნდაძემ (ვიოლონი) და ცნობილმა ქართველ მომღერალმა მიშელ დარიალმა-ნანობაშვილმა, რომელსაც აღტაცებით შეეგება საზოგადოება.

უნდა აღინიშნოს, რომ პარიზის კოლონიის გამგეობა მოსაწონ თაოსნობას იჩენს სხვადასხვა კულტურულ საქმეებში, როგორცაა სალიტერატურო სალამოები, მეცნიერული ლექციები, მოხსენებები და სხვ.

ა ლ . გ ა ხ ი ტ ა მ ვ ი ლ ი . ბერლინიდან გვწერენ, რომ იქ 23 იანვარს გარდაიცვალა ამხანაგი ალ. გასიტაშვილი. იგი ამ სამი წლის წინეთ ვადმოასახლა სხვა ამხანაგებთან ერთათ საოკუპაციო ხელისუფლებამ და ემიგრაციის მიიმე პირობებმა მოუსწრაფა სიცოცხლე.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ .

რედაქციამ მიიღო ამხ. კოლია ჭუმბურიძის ვრცელი განმარტება. რომლიდანაც აშკარაა, რომ მის მიერ გასულ წელს პრალაში წაქითხულ მოხსენების შინაარსი და აზრები სრულიად დამახინჯებულათ გამოიტანა ვეშაპელის გაზეთში ბ-ნ ი. კაჩუხაშვილმა.

მას შემდეგ რაც კაჩუხაშვილის ზნეობრივი ფიზიონომია ყველასათვის სავსებით გამოირკვა მისივე გამოსვლების წყალობით, მას შემდეგ, რაც მან კომუნისტურ გაზეთების ფურცლებზე ჩვენი ამხანაგების და ჩვენი პარტიის შესახებ ათასი ტყუილი და ჭორი გამოაფინა, ჩვენ ზედმეტათ მიგვაჩნია რომელიმე მის განცხადებას ანგარიში გავუწიოთ და მით უმეტეს ვრცელი წერილები ვუძღვნათ: ეს იქნებოდა ბელურებისათვის ზარბაზნების დაშენა.

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა უ ნ ს ო გ ე თ ი მ ი .

«დამოუკიდებელი საქართველო».

ამ ორი კვირის წინეთ პარიზში გამოვიდა ახალი ქართული პერიოდული გამოცემა: «დამოუკიდებელი საქართველო» (პირველი №) — «საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო». პირველ ნომერში მოთავსებულია წერილები: ნ. ჟორდანიასი, გ. გვაზავასი, ს. ფირცხალავასი, ი. გობეჩიასი, შ. ამირეჯიბის და სხვ.

გამოვიდა ქართულ ენაზე: 1) ბ. კაპუცი «ინტერნაციონალი და საბჭოთა რუსეთი»
 2) ნ. ჟორდანია «ჩვენი ტაქტიკა».
 3) უწყება საქ. ს.-დ. მ. შ. მე-III არალეგალ. ყრილობისა.

გამოვიდა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე და ამ დღეებში გამოვა გერმანულათ: «დოკუმენტი საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიისა», გამოცემა პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროსი. ბროშიურაში მოთავსებულია: 1) საქ. ს.-დ. მ. პარტიის მესამე არალეგალურ კონფერენციასზე მიღებული რეზოლიუციები; 2) მემორანდუმი, რომელიც პარტიის ც. კ-მა გადასცა ე. წ. გერმანულ მუშების დელეგაციას თფილისში; 3) საქ. ს.-დ. მ. პარტიის ც. კ-ის მიმართვა გერმანიის მუშათა პარტიისადმი — შესახებ აღნიშნულ «დელეგაციის» საქციელისა საქართველოში.

ბროშიურა გავრცელდა ევროპის ყველა ქვეყნებში.

რედაქციამ მიიღო ცნობილ ენეველ პროფესორის, ედგარ მილოს წიგნაკი: «საქართველო, რუსეთი და ერთა ლიგა», ეხლახან გამოცემული საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის მიერ.

Rédaction et Administration:

M-r. D. Charachidsé.

Le Gérant: G.-A. Bernard.

8. Cité Rondelet, Montrouge (Seine)